18
844/ω/1093
4
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 213 (233) პარასკევი, 1 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

30 ოქტომბერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მიმართ საქართველოს პოზიციის საკითხის განხილვა გვიანობამდე გაგრძელდა. მისი შეჯამებისას, პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ კონკრეტული სჯა-ბაასი ამ გაერთიანებაში რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ხელშეკრულების ახლანდელი სუბიექტები ცნობენ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

დეპუტატებმა განიხილეს „მრგვალი მაგიდის" საპარლამენტო ფრაქციის მიერ შემოთავაზებული საკითხი უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის გადარჩევის შესახებ. გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროსაც „მრგვალი მაგიდის" ფრაქციის წინადადებამ არ მიიღო საჭირო რაოდენობის ხმები

31 ოქტომბერს გაგრძელდა სესიის სხდომა. დეპუტატების წინადადებით, რომლებმაც სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების გამო, ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა. გაზრდილი დამნაშავეობის მთავარ მიზეზად მან დაასახელა ის, რომ მოსახლეობას აქვს დიდძალი იარაღი, მოითხოვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლა, რომლებიც, როგორც მან აღნიშნა, ინიღბებიან პოლიტიკური მიზნებით, სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა ხელს უწყობს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ძალმომრეობის ესკალაციას. მინისტრმა დასვა აგრეთვე საკითხი მილიციის მუშაკთა უფლებამოსილებათა გაზრდისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციის ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელმაც გამოავლინა აზრთა სხვადასხვაობა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების" ცნების განმარტების, რესპუბლიკაში კრიმინოგენური სიტუაციის გამოსწორების გზების თაობაზე.

სესიამ იმსჯელა სამაჩაბლოში შექმნილ მდგომარეობაზე, აღინიშნა, რომ ამ ბოლო ხანს მკვეთრად გამწვავდა ვითარება. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამაჩაბლოს პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება რუსეთთან და სსრ კავშირთან საქართველოს ურთიერთობას, და რომ საჭიროა ამ ურთიერთობებში სიცხადის შეტანა. მან თქვა, რომ სამაჩაბლოში კონფლიქტს ბოლო მოეღება მას შემდეგ, რაც რუსეთი და სსრ კავშირი ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს პრაქტიკულად ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენლებმა. უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნით გამოგზავნოს საქართველოში საერთაშორისო ექსპერტები სამაჩაბლოში მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის.

პარლამენტმა დააკმაყოფილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა თბილისის მეტროპოლიტენისათვის ვაგონებისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციისათვის სამგზავრო თვითმფრინავების შესაძენად საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის თაობაზე.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საკადრო საკითხები.

1 ნოემბერს სესია განაგრძობს მუშაობას.

საქინფორმი.

რუმინელთა მსოფლიო კონგრესი
ტორონტო, ონტარიო, კანადა
19.09.91

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, რუმინელთა მსოფლიო კონგრესის სახელით გვსურს გულწრფელად მოგილოცოთ დამოუკიდებლობის გამოცხადება და საბჭოთა იმპერიასთან კავშირის გაწყვეტა.

თქვენმა ბრძოლამ დემოკრატიისათვის, თვითგამორკვევისა და ეროვნული ღირსებისათვის მშვენიერი მაგალითი მისცა მსოფლიოს ხალხებს.

ღმერთმა გაკურთხოთ თქვენ და თქვენი ხალხი მამაცობისათვის. დაე, ღმერთი იყოს თქვენი შემწე დემოკრატიისაკენ, თავისუფალი მეწარმეობის საზოგადოებისა და ეროვნული ღირსებების აღიარებისაკენ მიმავალ ხანგრძლივ და რთულ გზაზე.

ტუდორ ბომბა,
პრეზიდენტი
ფ. მატრესკუ,
გენერალური მდივანი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესსამსახურის

განცხადება

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ამა წლის 22 ოქტომბრის ახალგაზრდულ გაზეთ „რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული იყო მიმართვა „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ინტელიგენციის, პოლიტიკური გაერთიანებების, მთელი ხალხისადმი", რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ხელმძღვანელობისადმი მთელი რიგი ოპოზიციური ორგანიზაციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები.

მოძმე ჩეჩნეთ-ინგუშეთში კარგად არიან ინფორმირებული, რომ იმპერიული ძალების მიერ საქართველოში დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების ცდა ჩაიფუშა.

სექტემბერ-ოქტომბრის ამბების დღეებში თბილისში იმყოფებოდნენ ვაინახის ხალხის წარმომადგენლები და ისინი დარწმუნდნენ, თუ რა საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ბატონ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით.

ოპოზიციის „მიმართვაში" ნათქვამია, რომ „საქართველოს პრეზიდენტის მრავალგზისმა ოფიციალურმა განცხადებებმა იმის შესახებ, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხი აქტიურად ეხმარება მას ოპოზიციისადმი ფიზიკურ ანგარიშსწორებაში, საქართველოში ჩამოსული ჩეჩნეთ-ინგუშეთის ზოგიერთი წარმომადგენლის არცთუ ტაქტიანმა გამოსვლებმა ქართველი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვიეს".

ჩვენ გვინდა მთელი პასუხისმგებლობით დავარწმუნოთ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზოგადოებრიობა, რომ საქართველოს პრეზიდენტს არასოდეს არ მოუწოდებია „ოპოზიციის ფიზიკური ანგარიშსწორებისათვის", მით უმეტეს, ვინმეს დახმარებით. ქართული ოპოზიცია, მათ შორის როგორც კონსტრუქციული, ისე მისი დესტრუქციული ძალები, ცხოვრობენ და თავს ჯანმრთელად გრძნობენ. თბილისში კვლავინდებურად იწყობა მიტინგები, გამოდის ოპოზიციური გაზეთები, დეპუტატთა ოპოზიციური ფრაქციები მონაწილეობენ პარლამენტის მუშაობაში. ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რეალიებიდან გამომდინარე, ვერაფრით ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ „მიმართვას", სადაც საქართველოს მთავრობას ბრალად ედება „თავისუფალი აზრის სრული ჩახშობა, მონოპოლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, სოციალისტური სტრუქტურების დაცვა და კერძო საკუთრების უარყოფა". 1991 წლის 28 ოქტომბერს აღვნიშნეთ „მრგვალი მაგიდის" ბლოკში გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიათა პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების წლისთავი. საქართველოს ხალხი, ერთ-ერთი პირველი საბჭოთა იმპერიის ხალხებს შორის, დაადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზას, სწორედ საქართველოში პირველად შეიცვალა ტოტალიტარულ-კომუნისტური რეჟიმი დემოკრატიული ინსტიტუტებით.

თბილისის პუტჩის დღეებში ჩვენი არაკეთილმოსურნენი ავრცელებდნენ ჭორებს „ოპოზიციის ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ", აგრეთვე ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან შეიარაღებული ფორმირებების ჩამოსვლის თაობაზე, რომლებიც თითქოს მონაწილეობას მიიღებდნენ ამ ანგარიშსწორებაში. „მიმართვის" ავტორები სწორედ ამიტომაც სთხოვენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხს „თავი შეიკავონ ჩარევისაგან საქართველოს საზოგადოების დემოკრატიზაციის ურთულეს პროცესში", მაგრამ ავიწყდებათ არა მარტო თავიანთი დამსახურება ამ პროცესის გართულებაში, არამედ ჩვენი მოძმე ვაინახის ხალხისადმი შეურაცხმყოფელ ბრალდებათა საქმეშიც. გვინდა დავარწმუნოთ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზოგადოებრიობა, რომ მისი წარმომადგენლების გამოსვლა საქართველოში ვერ გამოიწვევდა „ქართველი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებასა და პროტესტს", როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებს, რადგან მან შეუძლია რაიმე განაცხადოს მხოლოდ თავისი სახელით და თავისი მომხრეების სახელით. საქართველოს ხალხი კი დიდად აფასებს ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და მისი ღირსეული წარმომადგენლების სოლიდარობას.

თბილისი,
1991 წლის 31 ოქტომბერი.

იტალიის დელეგაცია საქართველოში

მთავრობის სახლის თეთრ დარბაზში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო დელეგაცია იტალიიდან. შეხვედრაზე იტალია-საქართველოს ურთიერთობის ცენტრის პრეზიდენტმა ბატონმა ჯანფრანკო ბონომიმ ბატონ ზვიად გამსახურდიას წარუდგინა დელეგაციის წევრები: პიერ ლუიჯი ბორაკო, მილანის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგიის დოქტორი, ვატიკანის სანპაოლას მსოფლიო რელიგიური ორგანიზაციის ხელმძღვანელი რენატო სპადონი — იტალიის ერთ-ერთი მსხვილი ბანკის „ამბროზიანო ვენეტის" წარმომადგენელი, ფრანჩესკო მარია მარტინი — იტალიის პრემიერ-მინისტრის ჯულიო ანდრეოტის მრჩეველი კულტურის სფეროში, ვატიკანის სახელმწიფო მდივნის რწმუნებული სახელმწიფოთაშორისო კულტურული ურთიერთობების დარგში, მოქანდაკე და მხატვარი; მაგდალენა პიზონი — იტალიის პენსიონერთა ორგანიზაციის პრეზიდენტი; შეიხი მუქრი ლორენსი — ტურისტული სააგენტოების მფლობელი ლიბანში, ისრაელში, იორდანიაში, ეგვიპტეში და საფრანგეთში.

სტუმრები იმ დელეგაციის ხელმძღვანელ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც 29 ოქტომბერს გვიან ღამით სპეციალური რეისით გენუა-თბილისი ჩამოფრინდა საქართველოში. დელეგაციის შემადგენლობა მეტად წარმომადგენლობითია — 25 კაცი.

ბატონმა ჯანფრანკო ბონომიმ პრეზიდენტთან შეხვედრაში ისაუბრა იმ მიზნებზე, რასაც მათ მიერ ჩამოყალიბებული იტალია-საქართველოს ურთიერთობის ცენტრი ისახავს. კერძოდ, საქართველოსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება-განვითარებას. ბატონმა ჯანფრანკო ბონომიმ დელეგაციის სახელით ბატონ ზვიად გამსახურდიას საჩუქრად გადასცა ფრანჩესკო მარია მარტინის მიერ შესრულებული თეთრი გიორგის ჭედურობა (მოვერცხლილ-მოოქროვილი, ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუში). საქართველოს პრეზიდენტმა დიდი მადლობა გადაუხადა დელეგაციის წევრებს ჩამობრძანებისათვის. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა იმ დიდ კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებს, რაც ტრადიციულად აკავშირებს ქართველ და იტალიელ ხალხებს და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ურთიერთობები კვლავ აღსდგება და გაგრძელდება, ვინაიდან საქართველო ამ ურთიერთობებში ჩაებმება, როგორც თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა.

სურათებზე: შეხვედრის დროს; საჩუქრის გადაცემისას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტოები.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონის 27-ე მუხლის მე-2 წინადადებაში სიტყვები „ორი კვირის ვადაში" შეიცვალოს სიტყვებით „უახლოეს სხდომაზე".
2. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი" შეიცვალოს სიტყვებით „კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს საორგანიზაციო საკითხებში და კომისიის 3 წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი".
2. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები:

1. 104-ე მუხლის 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „30) გამოსცემს აქტებს ამნისტიის შესახებ".
2. 121^{4} მუხლის 20-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „20) ახორციელებს შეწყალებას".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

ამნისტიის შესახებ

ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი კატეგორიის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა მიზანშეუწონელია და რომ რესპუბლიკაში შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების არარსებობის გამო ამჟამად ირღვევა კანონის მოთხოვნები არასრულწლოვანთა მიერ სასჯელის მოხდის პირობების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გათავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელისაგან, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 18 წელი.

2. შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმის წარმოება და სასამართლოებში განუხილველი საქმეები დანაშაულთა გამო, რომლებიც 1991 წლის 29 ოქტომბრამდე ჩაიდინეს იმ პირებმა, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი და ვისზედაც ვრცელდება სასჯელისაგან გათავისუფლება ამ კანონის მიხედვით.

3. სასჯელისაგან არ თავისუფლდებიან არასრულწლოვანები, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა მისჯილი აქვთ სამ წელზე მეტი ვადით შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის:

ა) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-73 მუხლები);

ბ) სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შემდეგი სხვა დანაშაულის ჩადენისათვის: ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე), მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80);

გ) პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის: განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 104-ე), განზრახ მკვლელობა (მუხლი 105-ე), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებაში (117-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები), ყაჩაღობა (96-ე და 152-ე მუხლები), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (209^{1} მუხლი);

დ) საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული შემდეგი დანაშაულისათვის: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერებათა გატაცება (240-ე მუხლი), ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებაზე დაყოლიება (252-ე მუხლი, 252^{1} მუხლი, 252^{3} მუხლი);

ე) რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის „ა"—„დ" პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის.

4. გაუნახევრდეთ სასჯელის მოუხდელი ნაწილი იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ამ კანონის მე-3 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებიათ 18 წელი.

5. ამ კანონის შესრულება დაევალოთ: საგამოძიებო საქმეებზე — წინასწარი გამოძიების ორგანოებს; სასამართლოებში განუხილველ საქმეებზე, მათ შორის იმ საქმეებზე, რომლებიც განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე და 47^{1} მუხლების შესაბამისად სასჯელი შეეცვალათ პირობითი მსჯავრდებით ან განაჩენის აღსრულება გადაედოთ, — სასამართლოებს; მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან, — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს.

6. კანონი ძალაშია 1991 წლის 29 ოქტომბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„ამნისტიის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 30 ოქტომბრის კანონის გამოყენების წესის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ამნისტიის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იმ პირებზე, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 18 წელი და ვინც დანაშაული ჩაიდინა კანონის ძალაში შესვლამდე, ე. ი. 1991 წლის 29 ოქტომბრამდე.

2. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 ოქტომბრის კანონის შესრულება დაეკისროთ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს:

მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებიან — შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის დადგენილებით;

ბ) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები ამ ორგანოების წარმოებაშია;

გ) სასამართლოებს:

იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები და მასალები სასამართლოების წარმოებაშია და კანონის ძალაში შესვლის დროისათვის არ არის განხილული, აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომელთა დანაშაულის შესახებ საქმეები განხილულია, მაგრამ განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად პირობით მსჯავრდებულთა მიმართ და იმ პირთა მიმართ, რომლებსაც განაჩენის აღსრულება გადაუვადდათ ამავე კოდექსის 47^{1} მუხლით გათვალისწინებული წესით;

მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ძირითად სასჯელად მისჯილი აქვთ ჯარიმა, თუ კანონის ძალაში შესვლამდე ჯარიმა გადახდევინებული არ არის ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა;

სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებულ და იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვთ უფრო მსუბუქი სასჯელით, კანონის ძალაში შესვლამდე ამნისტიის გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ.

3. მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ამნისტიის შეფარდების საკითხს წყვეტენ განაჩენის დამდგენი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებით.

4. შინაგან საქმეთა ორგანოების, აგრეთვე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების დადგენილებას ამნისტიის შეფარდების შესახებ ამტკიცებს პროკურორი.

სასამართლოების მიერ ამნისტიის შესახებ კანონის შეფარდების დროს პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

5. ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენების დროს მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც გაქარწყლებულია ან მოხსნილია კანონით დადგენილი წესით.

ასევე არ მიიღება მხედველობაში იმ პირთა ნასამართლობა, რომლებიც ადრე მსჯავრდებული იყვნენ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ან მსჯავრდებული იყვნენ განზრახი დანაშაულისათვის და შეეფარდათ სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ადრე მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ამ კანონის მე-3 მუხლის „ა" და „დ" პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულისათვის.

6. ამნისტიის გამოყენებისას იმ პირთა მიმართ, რომელთაც სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ვადა უკვე შეუმცირდათ შეწყალების ან ამნისტიის წესით და არ ჩაუდენიათ ახალი განზრახი დანაშაული, ამნისტიის შეფარდებისას მხედველობაში მიიღება სასჯელის ის ვადა, რომელიც ამ აქტებით იქნა საბოლოოდ განსაზღვრული.

7. დანაშაულის ერთობლიობისას ამნისტიის შეფარდების საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეული დანაშაულის მიმართ ცალ-ცალკე.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ და აჭარის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს უზრუნველყონ კონტროლი ამნისტიის შესახებ კანონის შესრულებაზე.

9. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის მინისტრთა საბჭოებს, რესპუბლიკის პრეფექტურებს:

უზრუნველყონ ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებულ არასრულწლოვანთა დროულად აღრიცხვაზე აყვანა, მათი შრომითი მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში ბავშვთა სახლებში, სასწავლო დაწესებულებებში მათი მოთავსება.

10. ამნისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 29 ოქტომბრის კანონის შესრულებისათვის მუშაობა დასრულდეს ორთვიან ვადაში მისი ძალაში შესვლიდან.

11. ამნისტიის გამოყენების თაობაზე საჩივრები და პროტესტები განიხილება კანონით დადგენილი წესით.

12. ზედამხედველობას ამ დადგენილების შესრულებაზე ახორციელებენ რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნემო ბურჭულაძე.**

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1984 წ., № 4, მუხ. 100; 1990 წ., მუხ. 34) შემდეგი ცვლილებები:

1. 89-ე და 134-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 89. პატიმრობის ვადა.

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადა, სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის გამოძიების დროს განისაზღვრება ორი თვით.

ეს ვადა გამოძიების დამთავრების შეუძლებლობის შემთხვევაში საქმის სირთულის გამო და სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გათვალისწინებით შეიძლება გააგრძელონ:

რაიონის, ქალაქის, ტრანსპორტის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველმა, ბუნების დაცვის და მათთან გათანაბრებულმა პროკურორებმა — სამ თვემდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა — ექვს თვემდე;

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა — ცხრა თვემდე;

განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა — ერთ წელსა და ექვს თვემდე.

ვადის შემდგომი გაგრძელება არ დაიშვება და პატიმრობაში მყოფი ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, ვადის გამოანგარიშებისას ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა არ გაითვალისწინება.

სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას, როდესაც ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადა ამოიწურა, ხოლო საქმის გარემოებათა გამო პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არ შეიძლება შეიცვალოს, პატიმრობის ვადას აგრძელებს გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორი მის მიერ საქმის მიღების მომენტიდან ერთი თვის ფარგლებში. ეს ვადა შემდგომ გაგრძელდება სასამართლოში საქმის გაგზავნამდე ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით დადგენილი წესითა და ფარგლებში".

„მუხლი 134. წინასწარი გამოძიების ვადები.

სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიების ვადა განისაზღვრება ორი თვით, რაც მოიცავს დროს საქმის აღძვრის მომენტიდან სასამართლოში მისი წარმართვის, წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების მომენტამდე.

ამ მუხლით დადგენილი წინასწარი გამოძიების ვადა შეიძლება გააგრძელონ:

რაიონის, ქალაქის, ტრანსპორტის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე ზედამხედველმა, ბუნების დაცვის და მათთან გათანაბრებულმა პროკურორმა — სამ თვემდე;

ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტის, ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა — ექვს თვემდე;

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა, მისმა პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა — ექვს თვეზე მეტი ვადით;

საქმეებზე, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებენ იმ რეგიონების საგამოძიებლო ორგანოების გამომძიებლები, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკის ტრანსპორტის ან ქ. თბილისის პროკურატურის შემადგენლობაში, გამოძიების ვადას სამ თვეზე მეტი ხნით აგრძელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილეები.

თუ საქმეზე ბრალდებული იმყოფება პატიმრობაში, გამოძიების ვადა გაგრძელდება ამ კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად.

გამოძიების ვადის გამოანგარიშებისას, ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ვადა არ გაითვალისწინება.

სასამართლოს მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას, აგრეთვე წარმოებით შეჩერებულ ან შეწყვეტილ საქმეზე გამოძიების განახლების შემთხვევაში დამატებითი გამოძიების ვადას ერთი თვის ფარგლებში აგრძელებს გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურორი. გამოძიების ვადა შემდგომ გაგრძელდება საერთო საფუძველზე".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 აგვისტოს კანონში შემდეგი ცვლილებები:

1. მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს კაბინეტის ცალკეულ წევრს, კომიტეტის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელს მოსთხოვოს ანგარიში. კაბინეტის წევრის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას შეიძლება დაისვას დაკავებულ თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი".

2. 21-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომიტეტებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს მინისტრთა კაბინეტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 30 ოქტომბერი.

აგრარული რეფორმა

მიწა-აგროფირმის (სოფლის) საკუთრებაში

საკითხის დასმის წესით

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს. ჩვენი დამოკიდებულება და პოზიცია შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ სფეროში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, აზრთა ურთიერთშეჯერება და ერთიანი პროგრამის შემუშავება დღეისათვის გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია.

14 სექტემბერს ამის თაობაზე უკვე ვესაუბრეთ ტელემაყურებლებს, მაგრამ საკითხის პრობლემურობიდან, მისი მრავალწახნაგობიდან გამომდინარე, მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ მათ შესახებ უფრო დაწვრილებით საგაზეთო სტატიაში მოგვეთხრო.

ამავე დროს, 19 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის კანონპროექტი მიწის რეფორმის შესახებ, რომელიც, ალბათ, მიწის პრივატიზაციის ერთ-ერთ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ, და საერთოდ, საჭიროდ ვთვლით გაგრძელდეს სხვადასხვა პოზიციის განხილვა და მათგან საუკეთესოების შეჯერებით ერთიანი, საბოლოო, კომპეტენტური აზრის შემუშავება.

• • •

ტოტალიტარულმა რეჟიმმა საქართველოს — ისტორიულად კულტურული მიწათმოქმედების კლასიკურ ქვეყანას, აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, გაჩანაგებამდე მიიყვანა მისი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. ის, რაც ათასი ჯურის მტერმა და მოძალადემ საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო, სრულად განახორციელეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთა ზეგავლენით მოჯირნახულე და ქვეყნის მარჩენალმა გლეხმა ზურგი შეაქცია მიწას.

ამიტომ სავსებით მართებულად მიგვაჩნია ბატონ ბ. გუგუშვილის აზრი, რომ... „რიგ ეკონომიკურ მოვლენასა და პროცესს პრაქტიკულად შეუქცევადობის ტენდენცია აქვს და გაფუჭებულის გამოსწორება აქ ძალზე ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიცაა. უმჯობესია გვქონდეს არცთუ კარგად, მაგრამ ასე თუ ისე მომუშავე ეკონომიკა, ვიდრე — ნაადრევი, უხეში და მოუზომელი ჩარევის შედეგად სავსებით დანგრეული და მოშლილი“ („ქართული პოლიტეკონომია“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1991 წ. 2 ივლისი).

ჩვენი აზრით, თუ მიზნად დავისახეთ გლეხის მიწისკენ მობრუნება, ქართული სოფლის აღორძინება (და ამის აუცილებლობას დღეს სოფლად არსებული ვითარება გვიკარნახებს), პირველ ყოვლისა, უნდა გავაუქმოთ მიწაზე საბჭოთა სტრუქტურები (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები) და მათ ბაზაზე, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, სულ პატარა სოფლებშიც კი შევქმნათ აგროფირმები.

— მეორეს მხრივ, თითოეულ სოფელს უნდა დაუბრუნდეს მახინჯი კოლექტიური მეურნეობის მცდარი ორგანიზაციის შედეგად ძალად წართმეული და სხვისთვის შეერთებული მთელი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი, ტყე და ა. შ.), რომლებიც შემდგომში, მიწის პრივატიზაციის მეორე ეტაპზე, სათანადო წესით გადაეცემა სოფლის მოსახლეობას მუდმივი სარგებლობისათვის.

კარგად გვესმის, რომ არსებული პრობლემის გადაწყვეტა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, რადგან მხედველობაში უნდა მივიღოთ მისდამი დიფერენცირებული მიდგომის, გეოგრაფიული გარემოს, ტრადიციების გათვალისწინების აუცილებლობა. გარდა ამისა, ალბათ, ურიგო არ იქნება ბარის ზონებში არსებული დიდი, ეკონომიკურად ძლიერი და მაღალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობები გადაკეთდეს სახელმწიფო მეურნეობებად; იგივე ბარის ზონის დანარჩენ მეურნეობებში, სადაც ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა, შეიქმნას აგროფირმები; სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით შეზღუდულ მთიან და მაღალმთიან რეგიონებში კი ჩამოყალიბდეს გლეხური და სათემო მეურნეობები, რომელთა ძირითადი პროფილი მეცხოველეობა იქნება.

მიწები სოფლის თუ თემის საკუთრებაში

მიწების ინდივიდუალურ-კერძო საკუთრებაში გადაცემის კონცეფციის აღქმისათვის საჭიროა თვალი გადავავლოთ იმ ისტორიულ გზას, რომელმაც დღევანდელ მდგომარეობამდე მოგვიყვანა. ამისათვის ქართული ენციკლოპედიიდან მოვიტანთ სოფლად მომხდარ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს:

„თემურობა ადამიანთა ცხოვრებისა და განვითარების აუცილებელ პირობასა და უძლიერეს მწარმოებლურ ძალას წარმოადგენდა, ხოლო ცალკეული ადამიანების შრომას არ გააჩნდა დამოუკიდებელი ყოფიერება, ის მხოლოდ თემურობის ერთობლივი შრომის შემადგენელი ნაწილია“.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, საქართველოში თემი „გვაროვნებათა მიხედვით უნდა ყოფილიყო დაშენებული“. ე. ი. სოფლის მეურნეობას ერთი გვარი ეწეოდა და, არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, დღესაც საქართველოში, განსაკუთრებით მთაში, თემობრივ-გვაროვნული საკუთრების შედეგად, „თემს შერჩა შიგა სასოფლო, სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობათა მოწესრიგების ფუნქცია“.

„სათემო მიწები ჯერ კომლთა ინდივიდუალურ სარგებლობაში, ხოლო შემდგომ — საკუთრებაში გადადიოდა. კერძო საკუთრებად, უწინარეს ყოვლისა, საკარმიდამო ეზო, ხოლო შემდგომ —მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული და სახნავ-სათესი მიწები გადაიქცა, ყველაზე გვიან კი — საძოვრები, ტყეები“.. აი, ის მოდელი, რომელიც, ჩვენი აზრით, დღევანდელ პირობებში, სოფლის დონეზე ყველაზე მეტად მიესადაგებოდა საქართველოს.

ენციკლოპედიაში იქვე ხაზგასმულია, რომ „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, თემს ეწოდა სოფლის საზოგადოება, რომლის მთავარი ორგანო კომლის (გლეხთა ოჯახის) მეთაურთა კრება („თემობა“) იყო, ამის მიუხედავად, თურმე, „კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით სოფლის საზოგადოებაში სულ უფრო ბატონდება კულაკობა, სოფლად მწვავდება კლასობრივი ანტაგონიზმი და ბრძოლა ნახევრად გაპროლეტარებულ გლეხობასა და ბურჟუაზიას შორის“. მოტანილი მოსაზრებიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ საბჭოური მორალი როგორ შეუფარდეს საქართველოს.

შემდგომ იქვე მინიშნებულია, რომ, თურმე, ლენინმა დაიცვა თემი და შედეგად იგი „გადაიქცა რაციონალიზებული მიწის თანასწორუფლებიან მოსარგებლე გლეხთა კავშირად, რომელიც ემყარებოდა მიწათსარგებლობის გათანაბრებითი განაწილების პრინციპებს“.

„1927-1929 წ. წ. გატარდა კანონები, რომლითაც თემი დაუმორჩილეს სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფლის მთლიანმა კოლექტივიზაციამ აზრი დაუკარგა თემის ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა მიწის ერთობლივი სარგებლობის მეზობლური გაერთიანების არსებობას. მისი წევრების უდიდესი ნაწილის კოლმეურნეობებში შესვლით (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: იძულებითი გაერთიანებით) მოხდა თემის ლიკვიდაცია...“. აი, როგორ აჩუქა ლენინმა გლეხებს მიწები. ე. ი. საქართველოში სოფლის მეურნეობის ე. წ. მთლიანი კოლექტივიზაციის პირველსავე ხანებში კოლმეურნეობებში იძულებითი გაერთიანებით მოხდა ამ უკანასკნელის ლიკვიდაცია. ამ გზით, თემები, თავიანთი მიწებით, ჯერ გააერთიანეს კოლმეურნეობებად, შემდგომ ესეც არ იკმარეს და ისინი, რომლებიც უფრო ჯგუფური საკუთრების ფორმით ხასიათდებოდა, გამსხვილების გზით, საბჭოთა მეურნეობებად, სახელმწიფო საკუთრებად აქციეს.

დღეს იძულებული ვხდებით უკუსვლით ისევ გავიაროთ გზა მიწის სახელმწიფო მონოპოლიიდან — ინდივიდუალურ, კერძო საკუთრებამდე. აღნიშნულის რეალიზაციისას, გარდამავალ ეტაპად გვესახება სოფლის საკუთრებაში მიწის გადაცემა იმ საზღვრებში, რომლებიც კოლმეურნეობებს ჰქონდათ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოში კოლექტივიზაციის საბჭოური მასშტაბი შედარებით იოლად განხორციელდა, რადგან, უმეტეს წილად, კოლმეურნეობები სოფლის საკუთრებაში მყოფ მიწებზე ჩამოყალიბდა.

აგროფირმების მოდელის შექმნის პირობა ყოფილი კოლმეურნეობების საზღვრებში

1945 წლამდე საქართველოში არსებობდა 4255 კოლმეურნეობა და 127 საბჭოთა მეურნეობა (ამჟამად, შესაბამისად: 690 და 471). ბუნებრივია, რომ თითოეულ მათგანს გამოყოფილი ჰქონდა შესაბამისი სამეურნეო ტერიტორია. დროთა განმავლობაში, არსებული კოლმეურნეობების ბაზაზე, გამსხვილების შედეგად, შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები. ამასთან, შემდგომში, ჭაობების ამოშრობის, ყამირი მიწების მორწყვის, მათი ათვისების გზით — ახალ ფართობებზე დამატებით ჩამოყალიბდა საბჭოთა მეურნეობები. ამას დაემატა 1945-1960 წლებში მათ პარალელურად შექმნილი მანქანა-სატრაქტორო, სასელექციო სადგურები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გადავხედავთ 1945 წლამდე არსებულ სასოფლო-სამეურნეო სქემას, გამოვა, რომ ე. წ. ყოფილი კოლმეურნეობების საზღვრებში ადვილი შესაძლებელია აგროფირმების ჩამოყალიბება და მათ საკუთრებაში მიწების გადაცემა. მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევაში, საკრებულოების ან სოფლის წარმომადგენლობის („თემობის“) ხელმძღვანელობით, საფუძველი ჩაეყრება სასოფლო საკუთრებებს.

ბუნებრივია, რომ მოცემული ვითარება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს აგროფირმასთან, სოფელთან გააფორმოს დაკვეთა და მიიღოს პროდუქციის გარკვეული ნაწილი. მეტიც, შემდგომში ისინი სახელმწიფოსგან თანდათანობით გამოისყიდიან მიწებს და გადასცემენ ინდივიდუალურ საკუთრებაში.

აგროფირმების საკუთრებაში მიწების გადაცემის მასშტაბების შესაძლებლობა

ამჟამად რესპუბლიკაში არსებული ეკონომიკური და სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტისა და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, აგროფირმებისათვის, სოფლისათვის მიწების მასობრივად გადაცემა გაუმართლებლად მიგვაჩნია. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ გარდამავალ პერიოდში სასოფლო წარმოების კონკრეტული სფეროსათვის უნდა არსებობდეს საჭირო სარეზერვო ფონდი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო, გარკვეულწილად, მოახდენდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების რეგულირებას.

ჩვენი მოსაზრების სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, ჭარბი პროდუქციის მწარმოებელი კერძო სექტორი თვითონ მიისწრაფვის სახელმწიფო დაკვეთისაკენ. ჩვენში კი, პროდუქციის დიდი დეფიციტის პირობებში, სახელმწიფო დაკვეთა აღიქმება როგორც უღელი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვის ცენტრის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა თაობაზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგები.

ანკეტირების ანალიზმა ცხადყო, რომ ყოველი მეორე მოიჯარე ვერ ხედავს ან ძნელად აქვს წარმოდგენილი საიჯარო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, ყოველ მეოთხეს არა აქვს სურვილი გააგრძელოს ხელშეკრულების ვადა, თითქმის ყოველ მესამე გამოკითხულ მუშაობის პროცესში უჩნდება სურვილი გააუქმოს დადებული ხელშეკრულება.

აღნიშნულს მრავალი გარემოება განაპირობებს. კერძოდ, მოუწესრიგებელია მოიჯარეთა და მეიჯარეთა ურთიერთობის საკითხები, ირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთვალდებულებები, ვხვდებით დიქტატსა და მბრძანებლობას, გაუთვალისწინებელია მწარმოებელთა ინტერესები და ა. შ.

ამიტომაც, სახელმწიფო დაკვეთით კერძო სექტორის დაინტერესების მიზნით, საწარმოო დავალებების განსაზღვრისას სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული მოიჯარეთა სურვილი, შესაძლებლობები სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს აგრეთვე ხელშეკრულებით განსაზღვრული წარმოების საშუალებების, შრომის იარაღის, მინერალური სასუქების, პირუტყვის, შენობა-ნაგებობების, გამოყოფა, საწარმოო-სატრანსპორტო, აგროტექნიკური და ზოოვეტერინალური მომსახურება, წარმოებული პროდუქციის ღირებულების დროული ანაზღაურება და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო შეკვეთა უნდა ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალო მწარმოებელთა წინადადებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ამრიგად განსაზღვრული შეკვეთები ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების შევსებას, საჭირო იქნება მატერიალური წახალისების დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

გამოკითხვის შედეგები იმითაც არის საყურადღებო, რომ რესპონდენტების, მშრომელების უმეტესობა სოფლის მეურნეობის ჭეშმარიტ აღორძინებას მიწისა და წარმოების საშუალებათა პრივატიზაციაში ხედავს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეხედულებას, და ამიტომ, პირველი, რაც დღესვე უნდა გაკეთდეს, ეს არის საკარმიდამო ნაკვეთების პრივატიზაცია.

ჩვენ მიერ ამ სფეროში საჭირო ყველა ღონისძიების განხორციელება განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფო დაკვეთის ინტერესებით, რადგან იგი, პირველ ეტაპზე, გარკვეული ოდენობით აუცილებელია, რათა სახელმწიფომ შეინარჩუნოს თავისი წარმოების სფერო, საშუალება ჰქონდეს განახორციელოს პროდუქციის ფასების ფარული რეგულირება და ამით გარკვეულად დაიცვას სოციალური სამართლიანობა.

მეორე მხრივ, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს მიწების გარკვეული ნაწილი. კერძოდ, ახლად ათვისებული მიწების (ამოშრობილი და გასარწყავებული) ბაზებზე შექმნილი სახელმწიფო სარეზერვო ფონდი.

თუ ჩვენი მოსაზრება მისაღები იქნება, მაშინ საქართველოს 69 სასოფლო-ადმინისტრაციული რაიონიდან მიზანშეწონილია შეირჩეს სასოფლო-სამეურნეო ზონები და წელსვე (ან გაისად გაზაფხულზე მაინც) განხორციელდეს სათანადო ღონისძიებები სოფლის საკუთრებაში მიწების გადაცემისა და აგროფირმების მოდელების შექმნისათვის.

რესპუბლიკის სპეციალისტების დიდი ნაწილის აზრით, კერძო საკუთრებაში მიწების გადაცემა თითქოს ძალზე ადვილია კავკასიონის მთის რაიონებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხისადმი ასეთი ზოგადი მიდგომა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მით უმეტეს, რომ მთაში მიწათმფლობელობის ტრადიციები ფესვგადადგმული და ძალზე მდგრადია. მაგალითად, ცნობილია, რომ ხევსურეთში, თითქმის 50 წლის წინათ ჩატარდა ე. წ. დაგეგმილი მიგრაცია. ამის მიუხედავად, ძველი ტერიტორიები (ნაკვეთები) დღესაც არ არის სხვაზე გაპიროვნებული, ფაქტობრივად აქ უკვე დაწყებულია მათი სათემო მართვის ტრადიციების აღდგენა და ჩვენი ვალია აქტიური ხელის შეწყობა, ამ საქმეში კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

აგროფირმა — სოფელი, მიწა, პროდუქციის წარმოება, სოფელში ცხოვრების პრესტიჟი

პირველ ეტაპზე, რესპუბლიკაში არსებული ვითარების გამო, აგროფირმა განასახიერებს მიწის მიკროჯგუფურ მესაკუთრეს. მისი საქმიანობის შედეგების პარალელურად, გაიზრდება სოფლის ფუნქცია, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, მოხდება წარმოებული პროდუქციის ადგილზე გადამუშავება, აგროფირმების სახელწოდებითა და პასუხისმგებლობით მისი რეალიზაცია.

ამ გზით შეიძლება შეიქმნას დაახლოებით საფრანგეთში არსებული ბორდოს, შამპანისა და სხვათა მსგავსი აგროფირმების მოდელები, რომლებიც თავიანთი პროდუქციით, მისი მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და რისთვისაც საქართველოს თითქმის ყველა მიკროტერიტორიაზე შესანიშნავი პირობებია.

ამასთან, მხედველობაში გვაქვს მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომელთა გადაწყვეტის საქმეში წამყვანი როლი სწორედ აგროფირმებს განეკუთვნება და უწინარესად, მხედველობაში გვაქვს ურბანიზაციის პროცესებთან დაკავშირებული მდგომარეობა.

ჩვენში და განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ამ პროცესებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. უდავოა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ქალაქსა და სოფელში ცხოვრების დონე თითქმის თანაბარია (ძალზე სპეციფიკური კომფორტის სახეობების გარდა, რომლებიც ინტენსიური სატრანსპორტო ქსელის მეშვეობით სოფლისთვის ადვილი მისაწვდომია).

ჩვენს ქალაქებში წარმოების გაუმართლებელ კონცენტრაციას ხშირად ცხოვრების დონის ამაღლების სფეროში დადებითი შედეგები არ მოუცია. უფრო მეტიც, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის 112 დასახლებიდან, ცხოვრების მეტნაკლებად მაღალი დონე მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ ქალაქებსა და მათ შორის ძირითადად თბილისს ახასიათებს.

აღნიშნული არადამაკმაყოფილებელი გარემოება, ზემოთ თქმულთან ერთად, ე. წ. სოციალისტური პროპაგანდის (გაიხსენით დაპირებები: 80-იან წლებში ვიცხოვრებთ კომუნიზმში, სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველგვარ პროდუქციაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მრავალი სხვა) რეალური შედეგია, რომელმაც, ფაქტობრივად, საერთოდ მოსპო სოფელში ცხოვრების კომფორტის ამაღლების ელემენტარული ტრადიციები და ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სოფელი დაიცალა, დაკარგა ფუნქცია, გაუფასურდა სოფელში ცხოვრების პრესტიჟის ცნება.

ამ საქმის განხორციელებაში პრიორიტეტს ვანიჭებთ აგროფირმის შექმნასა და მის საქმიანობას. რადგან იგი თავისი შეხედულებების (და არა ზემოდან კარნახით) მიხედვით, საკუთარი სახლის ცნების აღქმით. ღონიერადაც იზრუნებს სოფელში ცხოვრების დონის, კომფორტის ამაღლებისათვის.

აგროფირმების უპირატესობა

წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტისას, ბუნებრივია, იბადება კითხვა რა უპირატესობა გააჩნია აგროფირმებს მიწების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემასთან შედარებით.

ცხადია, რომ ჩვენი მთავარი მიზანი გახლავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა. დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლების, მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფის დაბალი დონის, საგზაო ქსელის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის პირობებში ინდივიდუალურ საკუთრებაში დიდი ტერიტორიების გადაცემა არ მოგვცემს სასურველ შედეგს. მოკლედ რომ ვთქვათ, ვერ შევძლებთ პროდუქციის ზრდას, პირიქით, მთელი გაწეული მუშაობა მათ მკვეთრ შემცირებამდე მიგვიყვანს.

გარკვეულწილად ამას ისიც განაპირობებს, რომ საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, ყველა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, საკმაოდ დიდ დანახარჯებს მოითხოვს. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი განსაკუთრებით ყურადსაღები ფაქტორი— როგორად წარმოგვიდგება თვით მეურნის პიროვნება, ინდივიდის ჩამოყალიბებული ტიპი, ე. ი. გლეხი.

ფაქტია, რომ წმინდა გაგებით, დღესდღეობით გლეხის ოჯახი თითქმის არ არსებობს. მით უმეტეს, რომ ე. წ. სოციალისტური სისტემის დროს, გლეხის ცნებაში სხვადასხვა სოციალური ფაქტორების თანდათანობით აღრევის შედეგად, სოფლად ძალზე ცოტა დარჩა ოჯახი, რომლის წევრი სახელმწიფო სექტორში არ იყო დასაქმებული.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ისეთ სახელმწიფოში (რომლისკენაც უკვე გადავდგით ნაბიჯები), როგორიც მომავალში საქართველო იქნება, გლეხისა და ფერმერის ცნება იდენტური უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს, რომ მიწასთან უშუალოდ დაკავშირებული ფერმერი, თავის საქმიანობაში ოჯახის თითქმის ყველა წევრის ჩაბმით, არჩენს არა მარტო მათ, არამედ ბაზარზე გააქვს წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საჭიროებისა და შეძენის კონკურენციის პირობებში, თვითონ მიისწრაფვის სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებისკენ.

უდავოა, რომ დროთა განმავლობაში, ჩვენც მივალთ იმ დონემდე, როცა უმუშევრობის აღიარება და, შესაბამისად, სამუშაო ადგილის ღირებულებითი მნიშვნელობის ზრდა ფერმერთან ხელშეკრულების რეგულირების საფუძველი გახდება.

თუმცა ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ გარდამავალ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში, დღეს და მომავალი წლის ბოლომდე, ეს ბევრ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით ფერმერის ცნების ჩამოყალიბებისათვის გვმართებს დიდი ზრუნვა.

ამავე დროს ფაქტია, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანია ოპონენტთა ჯგუფი, რომლის პოზიციაა არ ვიჩქაროთ კერძო საკუთრებაში მიწების გადაცემა. რა თქმა უნდა, ამ პოზიციის გასამაგრებლად ბევრი გარემოებაა გასათვალისწინებელი.

კერძოდ, აგრარული სახელმწიფოსთვის მიწა განსაკუთრებული წარმოების საშუალებაა; მის დაცვასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების — კანონების შემოღების გარეშე მცდარი ექსპლოატაციის შედეგების გამოსწორება ძალზედ რთული და ზოგჯერ შეუძლებელია; ინდივიდის მიერ დღევანდელი მანქანა-იარაღით მისი დამუშავება მეტად რთულია, ძნელია შხამქიმიკატების გამოყენების კონტროლი.

აღნიშნულის გარდა, დემოგრაფიულად რთულ რეგიონებში მიწის ინდივიდზე გადაცემა გამოიწვევს გარკვეულ სირთულეებს, რადგან ჯერ არ მიგვიღია კანონები მოქალაქეობისა და იმიგრაციის შესახებ, დაუცველია საქართველოს საზღვრები; ინდივიდებისთვის მიწების გადაცემა გამოიწვევს დაძაბულობას, პრეტენზიებს, რადგან ნაკვეთები ტოლფასოვანი არ იქნება; საქართველოს მცირემიწიანობა მიგვიყვანს თითქმის ყველა რაიონში მათ სხვადასხვა ზომით გადაცემის აუცილებლობამდე; შეუძლებელია ინდივიდის დონეზე მათი მომსახურების ქსელის შექმნა; გადაუწყვეტელი რჩება დაბეგვრის (თავდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროს ინტერესებისათვის) საკითხი, წამოიჭრება სოფლების განაშენიანების პრობლემები.

ერთი რამ ცხადია: მოყვანილი ყველა საკითხის გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ, პარალელურად არსებობს მეორე გარდაუვალი აუცილებლობა — საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მიწის პრივატიზაციის შემდგომ, რითაც სტიმული მიეცემა ადამიანის დამოუკიდებელ აზროვნებას.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დღევანდელი საზოგადოებრივი აზროვნება და, საერთოდ, საქართველოს მსგავსი აგრარული ქვეყანა ამის გარეშე უმნიშვნელო ნაბიჯებს გადადგამს, ვერ აღკვეთს დაძაბულობას, მცდარ, გადაწყვეტილებებს მიიღებს, რამაც შეიძლება კრიზისამდე მიგვიყვანოს.

კიდევ ერთხელ ხაზი გვინდა გავუსვათ, თუ რატომ მიგვაჩნია გარდამავალ პერიოდში მიზანშეწონილად აგროფირმების შექმნა ყოფილი კოლმეურნეობების ტერიტორიების ფარგლებში. აღნიშნულზე ყურადღების გამახვილების საფუძველი ნამდვილად არსებობს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია, რომელზეც 4600 სოფელია, დანაწევრებული იყო 4400 კოლმეურნეობად. 1946-1960 წლებში მასობრივი გამსხვილების შედეგად დღეს კვლავ 470 საბჭოთა მეურნეობა და 700 კოლმეურნეობაა, რომლებიც 4400 სოფელს აერთიანებენ.

ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტა დღის წესრიგში აყენებს უწინარესად, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოფილი კოლმეურნეობების საზღვრების კორექტირების აუცილებლობას. მით უმეტეს, რომ მათგან განსხვავებით, აგროფირმა მიწის მფლობელი იქნება.

1946-1960 წლებში რომ არ განხორციელებულიყო სოფლის მეურნეობის წარმოების მიმართულებების აღრევა და საბჭოთა მეურნეობებზე გადასვლა, კოლმეურნეობა მაინც გაამართლებდა თავის არსებობას და დღეს ადვილი იქნებოდა ინდივიდუალურ კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემა.

ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ არ ამართლებს დღევანდელი კოლმეურნეობა? ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დიდად ძნელი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, იგი რამდენიმე კოლმეურნეობის ტერიტორიათა ჯამს წარმოადგენს. მეორე, საერთოდ, იმ სისტემაში მისი ფუნქციონირება თითქმის მიზანშეუწონელი იყო და რეალური პირობებიც საკმაოდ შეზღუდული ჰქონდა. მესამე, რაც მთავარია, მიწა მის საკუთრებას არ წარმოადგენდა.

ჩვენი მოსაზრებები, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება საკამათო იყოს. ერთი კი ცხადია, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა უკიდურესად აქვეითებს მოსახლეობის ისედაც დაბალი ცხოვრების დონეს.

სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია სოფლად სოციალისტური ეკონომიკური სტრუქტურების დემონტაჟის დაჩქარება, დარგის მართვისა და ძალღონის, საბაზრო მეურნეობრიობისათვის ნიშანდობლივი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, რომლებიც საკმაოდ რთულ, ორგანიზაციულ და ახსნა-განმარტებით მუშაობას, ერთიანი, სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში თითოეული ჩვენთაგანის აქტიურ მონაწილეობას საჭიროებს.

აგროფირმებზე გადასვლის მიზანშეწონილობას თუნდაც ის ამართლებს, რომ იგი ჯგუფის ინტერესებს დაექვემდებარება და უფრო მოქნილი ორგანიზმი იქნება გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოსაგან მათთვის ხელშეწყობისათვის.

საერთო ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აგროფირმების ჩამოყალიბების დროს სახელმწიფომ უნდა იკისროს ცალკეულ სასოფლო რაიონებში არსებული მანქანა-იარაღების ბაზაზე სამეურნეო მომსახურების (რამოდენიმე ერთეული) რგოლების შექმნა. შემდგომში ამ მანქანა-იარაღების გაყიდვით ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი მომსახურების სამეურნეო ორგანიზმები. ყოველივე აღნიშნული კი მომავალში ხელს შეუწყობს უშხამქიმიკატებო მომსახურების სამეურნეო ანგარიშიანი რგოლების შექმნასაც. ე. ი. გამოდის, რომ სახელმწიფომ უნდა ითავოს აგროფირმების ფორმირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტელევიზიაში გამოსვლისას გამოთქმული ჩვენი მოსაზრებები ტელემაყურებლების, სპეციალისტების საინტერესო შეხედულებების, დებულებების საფუძველი გახდა. გულახდილად რომ ითქვას, არ გვაქვს ჩვენი პოზიციის პრიორიტეტის პრეტენზია. მეტიც, მიწის რეფორმის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, ჩვენთან შემოსული მრავალი წინადადება და მოსაზრება ბევრი საგულისხმო და საჭირო ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობაზე მიგვითითებს. მათმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ საერთო საქმისთვის საჭიროა ალტერნატიული ვარიანტები, მოსაზრებები და მათი შეჯერებით ჭეშმარიტი, ქმედითი პოზიციის გამომუშავებით, საზოგადოებრიობის თანადგომით, აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების დროული გადაწყვეტა.

და ბოლოს, საინიციატივო ჯგუფი „საქართველოს დამოუკიდებლობა და ეკონომიკა“ მზად არის რეაგირების გარეშე არ დატოვოს და განიხილოს წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით რედაქციაში შესული ყველა წინადადება, შენიშვნა, მოსაზრება, პოზიცია, და წინასწარ მადლობას უხდის მათ ავტორებს.

საინიციატივო ჯგუფი: „საქართველოს დამოუკიდებლობა და ეკონომიკა“,

თამაზ გუგუშვილი,

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თანადგომა

დრო, დრო გვაჩქარებს, მშენებლებო!

მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა ამ რამდენიმე თვის მანძილზე მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელიც. სწორედ სადღეისოდ მშენებელთა პრობლემებსა და მოსახლეობისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე დაიწყო საუბარი ამ დღეებში გამართული შტაბის სხდომებზე სამშენებლო კომპლექსის მაკოორდინებელი შტაბის უფროსმა, ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა თამაზ ვაშაძემ. მან აღნიშნა, რომ სამშენებლო კომპლექსში ჩაბმულ ორგანიზაციებს საზრუნავი ყოველდღიურად ემატებათ — აცივებამდე მცირე დრო დარჩა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ გეგმით დასახული ღონისძიებები განხორციელდეს, დაზარალებული რაჭის, იმერეთის და ქართლის მოსახლეობას ცის ქვეშ არ მოუწიოს გამოზამთრება. ყველა სახლი თუ წელს ვერ აშენდება, დროებითი თავშესაფარი მაინც უნდა მოეწყოს, რომ ხალხმა თავი შეიფაროს.

აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ამბროლაურსა და ონში გამართული შტაბის სხდომებზე ინფორმაციებით გამოვიდნენ სამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელები ავთანდილ ჩალაძე, თამაზ ბერეკაშვილი და ნოდარ ხარაბაძე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უნდა დაჩქარდეს სამშენებლო სამუშაოები, და დაზამთრებამდე დარჩენილი დროის მცირე მონაკვეთი გამოიყენონ მაქსიმალურად.

აქ მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები დღესა და ღამეს ასწორებენ, რომ რაც შეიძლება მეტი საცხოვრებელი სახლი გადახურონ. ამისათვის კი საჭიროა გაუმჯობესდეს სამშენებლო რკინაბეტონის კონსტრუქციების შემოზიდვა, რისთვისაც აუცილებელია ტრანსპორტი. ამას ერთგვარად შეუშალა ხელი რესპუბლიკაში მოსავლის აღების კამპანიამ, რადგან ტრანსპორტის გარკვეულმა ნაწილმა ჭირნახულის აღება-დაბინავებაზე გადაინაცვლა. საჭიროა დარჩენილი ტრანსპორტი ეფექტიანად გამოვიყენოთ. პრობლემად რჩება ლითონის, განსაკუთრებით სახურავი თუნუქის შოვნა, დღემდე გადაუჭრელია ხე-ტყის პრობლემა, რაც აფერხებს კარ-ფანჯრების დამზადების და სახლის გადახურვის სამუშაოებს.

ისიც ითქვა, რომ ცუდად მუშაობს „საქკავშირპროექტის“ მრეწვმშენის სამშენებლო სამმართველო, რომელმაც დაწყებული ბინების მშენებლობა მიატოვა და კარგა ხანია ონში არავინ გამოუშვია.

დღეს მთელი რაჭა სამშენებლო პოლიგონადაა ქცეული, ადგილობრივი მოსახლეობისა და მათ დასახმარებლად ამბროლაურსა და ონის რაიონებში ჩამოსულ მშენებელთა მადლიანი მარჯვენით შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამიტომ რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ მათი ნორმალური კვებისათვის, სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

25 ოქტომბერს ამბროლაურის რაიონში შტაბის სხდომის დროს ითქვა, რომ ამ რაიონის ნიკორწმინდის სასადილოში ელექტროენერგია არ არის, გართულებულია მუშათა კვება, არის დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

რაჭველი კაცი ოდითგანვე განთქმულია შრომისმოყვარეობით და სტუმარ-მასპინძლობით. არც ამ გაჭირვების ჟამს შეირცხვენს იგი თავს. თუ ერთმანეთის გატანა და სიყვარული არ იქნა, თუ პატივი არ მივაგეთ სხვადასხვა რაიონიდან მოსულ მშენებლებს, ვინ ააშენებს დანგრეულ სახლებს, ვინ უშველის მრავალძალის, ნიკორწმინდის, ბარაკონის, ბარის წმინდა გიორგის ეკლესიებს, ვინ აღადგენს საგრძნობლად დაზიანებულ სორის წმინდა გიორგის ეკლესიას და ონის მოძმეთა სინაგოგას?

გორის ფიქართა კულტურის სასახლეში გამართულ შტაბის სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელი, ფირმა „ქართლის“ მშენებელთა უფროსი პავლე დონდუაშვილი, რომელმაც მიმოიხილა უკანასკნელ ხანს გაწეული მუშაობა. ისიც ითქვა, რომ მძიმე განსაცდელშია შიდა ქართლი, საქართველოს ძირძველი მიწა-წყალი: ზურგში დანის ჩაცემასა და ღალატს, მომხდურთა თარეშს, მაშვრალი კაცის ხელით ნაგებ-ნაშენთა ნგრევასა და რბევას, აქაურ მკვიდრთა აწიოკებას; ძარცვას თუ დევნას ულმობელი სტიქიით გამოწვეული უბედურებაც დაერთო ზედ. პირისაგან მიწისა აღიგავა ბევრი ისტორიული ძეგლი, მთელი სოფლები, ასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

ითქვა ისიც, რომ კვლავ ცუდი მდგომარეობაა გორის სამშენებლო კონსტრუქციებისა და სახლთსაშენებელ კომბინატებში. ორივე საწარმოოს კოლექტივი ხშირად ვერ უშვებს წვრილ საკედლე ბლოკებს, ხოლო რეგიონში არსებული ამ პროდუქციის დამამზადებელი კოოპერაციული საწარმოები, რესპუბლიკური შტაბის მოწოდებისა და გაფრთხილების მიუხედავად, თავიანთ ნაწარმს მაინც ყიდიან კერძო პირებზე, იმის ნაცვლად, რომ ბლოკები შეთანხმებულ, თავიანთთვის სასარგებლო პირობებით სამშენებლო კომპლექსს მიაწოდონ. მათ საკუთარი პროდუქციის გაყიდვის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული, მაგრამ საერთო საქმის და, კერძოდ, მიწისძვრით დაზარალებულთა სახლების მშენებლობის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დაივიწყონ პირადი ამბები და საქვეყნო საზრუნავს შეეშველონ. ამ საკითხების მოგვარებით ნაკლებად ინტერესდებიან პრეფექტურები.

მუშაობის ტემპის დაჩქარებას მოითხოვს ჯანმრთელობის და განათლების ობიექტებზე მომუშავე მშენებელთა საქმიანობა. ამ საკითხებს მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ქარელის და გორის რაიონების ჯანმრთელობის და სახალხო განათლების დარგის ხელმძღვანელმა მუშაკებმა. არადა, ისინი საჭიროდ იმასაც არ თვლიან, რომ აქ გამართული შტაბის სხდომების მუშაობაში მიიღონ მონაწილეობა და უფრო პრინციპულად მოითხოვონ წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა. გასაუმჯობესებელია მუშათა კვების და ყოფაცხოვრების პირობები. მრავალგზის თქმის მიუხედავად, შტაბის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას საჭიროდ არ თვლიან შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციების თავკაცები.

ჭიათურაში, ზესტაფონსა და საჩხერეში გამართულ შტაბის სხდომებზე ინფორმაციებით გამოვიდნენ სამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელები ზაურ კაპანაძე, ვახტანგ ლომთაძე და ილია ქევხიშვილი, რომლებმაც აღნიშნეს თუ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში რა მუშაობა გასწიეს სამშენებლო ორგანიზაციებმა. იყო ზოგიერთი საშენი მასალისა და კონსტრუქციის ნაკლებობა. როგორც მოსახლეობიდან შემოსული სიგნალებით ირკვევა, ზოგიერთ მძღოლს „დამატებითი“ გასამრჯელოს მიუღებლად არ გადააქვს ტვირთი.

უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე მუშაობა შეასუსტეს რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში შემავალმა ორგანიზაციებმა, ნელი ტემპით მიმდინარეობს წირქვალისა და კაცხში ამბულატორიების მშენებლობა, საკმარისი რაოდენობით ვერ ხერხდება კვარცის სილის შეზიდვა დარკვეთის სილის ქარხანაში. დამთავრდა ჭიათურის წყლით მომარაგების საპროექტო სამუშაოები, მდინარე ყვირილას სათავეებიდან წყალს გამოიყვანს რამდენიმე სამშენებლო ორგანიზაცია, რათა სამუშაოები დაჩქარდეს. ამჟამად სამუშაოების დაწყებას ხელს უშლის ის, რომ წყალსადენის ტრასაზე არსებული მაღალი ძაბვის ხაზები გადასატანია.

ისევ სინანულით აღინიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკას გარედან არავინ ეხმარება საშენი მასალით, საწვავით, ტრანსპორტით, მუშახელით, მექანიზმებით. ხდება საწინააღმდეგოც: ჩვენი მისამართით წამოსული ტვირთი სხვაგან იცლება. ასე მოხდა ამ დღეებშიც, როცა მშენებლობას ყველაზე მეტად ესაჭიროება სახლის სახურავი თუნუქი, ჩვენი მისამართით წამოსული 3 ვაგონი ალუმინის სახურავი ტუაფსეში დაიცალა.

ითქვა შემდეგიც: დაზარალებული მოსახლეობის ერთი ნაწილის სახლების მშენებლობის დამთავრება რომ ვერ ესწრება, მათთვის შემოზიდული საცხოვრებელი ვაგონები გზაში იძარცვება და იმტვრევა, რის გამოც უვარგისი ხდება.

შტაბის სხდომებზე კვლავ გამოიკვეთა აზრი, რომ საჭიროა პრეფექტურებმა გააძლიერონ მუშაობა, უფრო ენერგიულად ჩაებან სამშენებლო საქმიანობაში.

ჯამალ გურული,
„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეც. კორ.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის
განცხადება

საქართველოს დემოკრატიული პარტია (მთავარი კომიტეტის წევრები: ვ. ტალახაძე, გ. ზუმბაძე, თ. შარმანაშვილი, მ. ჩახვაშვილი) 1991 წლის 8 თებერვლის გაერთიანებული კონფერენციის გადაწყვეტილებით შეუერთდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (თავმჯდომარე — გ. ჭანტურია). გაერთიანებულ პარტიას დაერქვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამან საშუალება მისცა საინიციატივო ჯგუფს ჩამოეყალიბებინათ ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია გამოთავისუფლებული სახელწოდებით — საქართველოს დემოკრატიული პარტია.

საინიციატივო ჯგუფმა ამის შესახებ სათანადო განცხადება გააკეთა პრესაში 1991 წლის 11 მაისს („ახალგაზრდა ივერიელი“). ამავე განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ პარტიის დაფუძნების ვადად ნავარაუდევია 1991 წლის სექტემბერი, რადგან ჯერ კიდევ არ იყო მიღებული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.

1991 წლის 13 სექტემბრის „დრონიში“ კიდევ ერთხელ მოგვიხდა განმარტება იმისა, რომ 30 აგვისტოს ნომერში შემოთავაზებული წინადადება — საჭიროა კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელსაც შეიძლება საქართველოს დემოკრატიული პარტია დავარქვათ (ავტორი — ჯ. ნოზაძე) — არ არის ინიციატივა და რომ ამ სახელწოდების პოლიტიკური ორგანიზაცია უკვე არსებობს.

შესაბამისად საინიციატივო ჯგუფის განცხადებისა, 1991 წლის 29 სექტემბერს მოწვეულ იქნა პარტიის დამფუძნებელი კრება. კრებამ მიიღო და დაამტკიცა წესდება და პროგრამა, აირჩია საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე (მაყვალა ჩახვაშვილი) და წარმომადგენლები ხელმძღვანელ ორგანოებში.

1991 წლის 18 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა დემოკრატიული პარტიის წესდება, რომელიც, თუ რედაქციის წანამძღვარს დავუჯერებთ, 1991 წლის 23 მაისს დაარსებულა.

ჩვენთვის გაუგებარია ჩვენი მოსახელე ზეახალი პარტიის შექმნა-დაარსებაში რა როლი უნდა შეესრულებინათ მის დღევანდელ თავმჯდომარესა (ვ. ქვარაცხელია) და თანათავმჯდომარეებს (გ. მამულია, ა. მარგიანი), რადგან იმ დროს, როცა პარტია თურმე დაფუძნებულა (1991 წლის 23 მაისი) ყველა თავისი საქმით ცალ-ცალკე იყო დაკავებული.

ჩვენთვის გაუგებარია ისიც, რომ თუ „დემოკრატიულ პარტიას“ თავის გასაიდუმლოება მოუნდა, ჩვენი განცხადებების კვალდაკვალ რატომ არ განმარტეს პირადი საუბრის ფორმით მაინც, რომ უკვე არსებობდნენ (ვფიქრობთ, 23 მაისისთვის 11-ია „უკვე“ და არა პირიქით)?!

გამომდინარე ზემონათქვამიდან, საქართველოს დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ ხელშეუხებელია მისი სახელწოდება! კატეგორიულად დაიცავს თავის უფლებებს და სრული უფლებამოსილებით იმუშავებს თავისი წესდების შესაბამისად.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი.

თბილისი. 1991 წლის 25 ოქტომბერი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

საქართველოში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში აფხაზეთში აუცილებელია სტაბილიზაცია, რაც არც თუ იოლად ხერხდება. ნებისმიერი ობიექტური და მაღალპროფესიული ინფორმაცია პრესაში უაღრესად მნიშვნელოვანია. საქინფორმის სპეც. კორესპონდენტის თ. ჯიბუტის ინფორმაცია კი „აფხაზეთი მხარს უჭერს პრეზიდენტს“ (რაშიც ის ნამდვილად არ შემცდარა) ობიექტურობის ნიმუშად ვერ გამოდგება.

ბ-ნი თ. ჯიბუტი არ შეხვედრია თეატრის ხელმძღვანელობას, თეატრის არც ერთ წარმომადგენელს და ვერც ახსნიდა კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის მისადგომების უკაცრიელობას, რადგანაც ჩვენს თეატრში სეზონი ჯერ არ გახსნილა, და ეს რომ უსახსრობის გამო მოხდა, კორესპონდენტს უნდა სცოდნოდა (კულტურის სამინისტროს დახმარებით გახსნა მხოლოდ 15 ნოემბერს შედგება).

ბ-ნ თ. ჯიბუტს ასევე არ სცოდნია, რომ ი. ჭავჭავაძის საზოგადოებას თავისი დეპუტატობის კანდიდატების საზოგადოებრიობის წინაშე წარსადგენად, თეატრის დირექცია დარბაზის მიცემას არჩევნებამდე ერთი თვით ადრე შეჰპირდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისში დესტაბილიზაციის კვალიც არ შეიმჩნეოდა. 19 სექტემბერს თეატრის დასი ქ. ვოლგოგრადში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე იმყოფებოდა, ხოლო ადგილზე დარჩენილი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით და საზოგადოებრიობის ჩარევით შესაძლო დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის „მრგვალი მაგიდისაც“, დარბაზის დათმობაზე უარი ეთქვა.

ნუნუ ბაბუა,
სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრუნავი

მეცხოველეობა შველას ითხოვს

ბევრჯერ დაწერილა და თქმულა, რომ მეცხოველეობაში შექმნილია საგანგებო მდგომარეობა. წინა შორეულ წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, 1985 წელთან შედარებით შარშან რესპუბლიკაში საქონლის სულადობა საზოგადოებრივ და კერძო სექტორში 348 ათასი სულით შემცირდა. მათ შორის, ფურების რაოდენობა — 93 ათასით, ღორის — 293 ათასით, ცხვრისა — 361 ათასით, ფრინველის — 4,1 მილიონი ფრთით, კვერცხმდებლისა — 1 მილიონით.

სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია გაღრმავდა წლევანდელ 9 თვეში. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად იკლო როგორც პირუტყვის სულადობამ, ასევე მისმა პროდუქტიულობამ. დარგის კრიზისი ორმოცდაათიანი ან სამოცდაათიანი წლებიდან როდი მომდინარეობს, იგი კერძომესაკუთრული მეურნეობების გაუქმების დღიდან დაიწყო. გლეხს ოჯახისა და საქონლის მარჩენალი მიწა ჩამოართვეს, კოლმეურნეობებში ძალით გააერთიანეს. საკარმიდამო მიწიდან და კოლმეურნეობიდან მიღებული მცირე მოსავლით მან ოჯახი ვერ გამოკვება, მტერ-მოყვარეს ვერ მიხედა, გული აიცრუა და შრომასაც უალო, მუშაობდა შიშით, მხოლოდ იმიტომ, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ ჩამოერთვათ და ოჯახი მთლად მშიერ-მწყურვალი არ დარჩენოდა.

განუკითხაობის პერიოდშიც არაფერი შეცვლილა გლეხის სასიკეთოდ. მას უფლება არ ჰქონდა ოჯახის მარჩენალი პირუტყვი ნორმაზე მეტი ჰყოლოდა, ნორმა კი იყო ორი ფური ორი ნამატით. ანდა რად უნდოდა, როცა მიწა და სათიბ-საძოვრები ჩამოართვეს. მაშინ ბევრმა დატოვა სოფელი, მამა-პაპისეული მიწა-წყალი და ქალაქს მიაშურა. დაცარიელდა როგორც მთის, ისე ბარის სოფლები. ერთი სიტყვით, კომუნისტურმა წყობამ თავისი ბატონობის დროს მოსპო და გააპარტახა სოფელი. ამ უგუნური პოლიტიკის ნაყოფია დაცარიელებული მაღაზიები, დახლებიდან გაქრა ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა სასურსათო პროდუქტები.

ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყოს, ყველაფერი კალაპოტში უნდა ჩადგეს. მაგრამ ამას ხომ წლები სჭირდება?! აბა, წარმოიდგინეთ, ხბოს გამოზრდას, ის რომ ძროხის კატეგორიაში გადავიდეს, სულ მცირე 3 წელი დასჭირდება, მაგრამ გამოზრდასაც ხომ უნდა საკვები კულტურები, სათიბ-საძოვრები. მოუვლელობით რომ გამოიფიტა და მცირემოსავლიანი გახდა. რეალურად დარჩენილ პირუტყვს ახლა გლეხის მთელი გულისყური, მოუღლელი მარჯვენა სჭირდება. დღეს რაც საზოგადოებრივ და კერძო სექტორშია (საუბედუროდ, მოუვლელობით და უყურადღებობით იგი უკვე ნახევრად ბერწია), მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე შევინარჩუნოთ.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ", განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს რამდენიმე კრიტიკული წერილი დაბეჭდა დარგის ავ-კარგზე, სამომავლო საქმეებზე. დღეიდან იწყებს წერილების ციკლის ბეჭდვას, თუ რა ვითარებაა ამჟამად რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის კერძო სექტორებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში, როგორ მიმდინარეობს საკვების დამზადება და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის მზადება. დღეს ვაქვეყნებთ წერილს მაღალმთიან ონის რაიონში არსებულ პრობლემებზე.

მთებში ჩაძირული ონი კავკასიონის მთავარი ქედის ტერიტორიაზეა გაშლილი. მისი ფართობი 1326,3 კვადრატული კილომეტრია. იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იყო მესაქონლეობა, მარცვლეული კულტურების (სიმინდი, ლობიო) წარმოება და მეკარტოფილეობა. სახნავ მიწებს 1,4 ათასი ჰექტარი უკავია, საძოვრებს — 29,9 ათასი, სათიბებს — 14,3 ათასი. რაიონის მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეა, აგრეთვე, დამრეც ფერდობებზე არსებული მცენარეული საფარი, ძირითადად ტყე, რომლის საერთო ფართობი 50,266 ჰექტარია.

ეს ციფრობრივი მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ ონის რაიონს დიდი პოტენციური შესაძლებლობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის. და, მართლაც, ასე იყო ოდითგანვე. მეცხოველეობა გლეხის მარჩენალი, ოჯახის მასაზრდოებელი იყო. მთის ანკარა წყაროები, სათიბ-საძოვრები, რიონისპირა ჭალები ყველა პირობებს უქმნიდა გლეხს. ხორცი, რძე და რძის პროდუქტები ჩაჰქონდა ბარში გასაყიდად, სადაც სანაცვლოდ სამრეწველო საქონელს იძენდა.

ონელებს მარჩენალი პირუტყვისადმი სიყვარული დღემდე არ განელებიათ, მაგრამ საკოლმეურნეო წყობამ როგორც ყველგან, ამ ლამაზ მთაგორიან რაიონშიც გლეხს მიწაც და მეცხოველეობაც შეაძულა. წლების განმავლობაში მოსახლეობამ ვერ გაუძლო შრომის მცირე ანაზღაურებას, რომელსაც საზოგადოებრივი მეურნეობიდან იღებდნენ. არადა, უფლება არ ჰქონდა ნორმირებულ პირუტყვზე მეტი ჰყოლოდა, გაჭირდა ოჯახის რჩენა და სოფლებმა თანდათანობით იწყო დაცარიელება, უფრო მეტად ახალგაზრდებმა მიატოვეს მშობლიური რაიონი. ბევრმა ხანდაზმულმა ვერ დათმო მამა-პაპათა საძვალე და ბედს შეურიგდა.

დღეს უკვე არსებობს გარკვეული წინაპირობები სასიკეთო ძვრებისა და გლეხიც დარწმუნდა, რომ მიწა სამუდამო მფლობელობაში გადაეცემა. ამდენად საშუალება ექნება საქონელი სურვილის მიხედვით მოაშენოს და მოამრავლოს და მშობლიურ მხარეს უბრუნდება. მიუხედავად იმ დიდი მიწისძვრისა, რომელმაც ისედაც განადგურებული და გაჩანაგებული რაიონი უფრო მეტად დაანგრია, სოფლად დაბრუნებული გლეხი ბუნების სტიქიას არ უშინდება და ფეხს არ იცვლის მამა-პაპისეული მიწა-წყლიდან. ხედავს რა ხალხის მიერ არჩეული ახალი მთავრობის ზრუნვას, სიკეთეს თვითონაც სიკეთით პასუხობს.

ოქროპირ ნავროზაშვილი, ონის რაიონის პრეფექტი: მეცხოველეობის განვითარებისათვის საკვებთან ერთად საჭიროა ზოოვეტსამსახურების დონის ამაღლება, ბერწიანობის აღკვეთა, რომელიც არცთუ იშვიათია რაიონში, დათბუნებული ფერმები, რომლებიც მიწისძვრის შემდეგ პირველ რიგში საჭიროებს გამაგრებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათ უზრუნველყოფას და სხვა იმ სიკეთეს, რომელიც ხელს შეუწყობს პირუტყვის პროდუქტიულობას, ამის საშუალებას კი უთუოდ მოგვცემს ფერმების მოიჯარეებისათვის — კერძო სექტორისათვის გადაცემა. კარგად დამზადებული საკვებით პირუტყვის კვება განსაკუთრებით ზამთარში, მისი ზრდის მთავარი პირობაა. სამწუხაროდ, საკვების დამამზადებელი ტექნიკა ყველგან როდია, რაც არის, ისიც არ მუშაობს, გაუმართავია, არ არის სათადარიგო ნაწილები, არ გვყოფნის ტრანსპორტი. არადა, მეცხოველეებს ტექნიკა ძალას მატებს და აიაფებს პროდუქციის წარმოებას.

რაიონში ბევრი მცირეკონტურიანი მიწის ნაკვეთია. ზოგი მათგანი მთის ძლიერ დაქანებულ ფერდობებზეა და ძველებური კავით ჭირს მისი დამუშავება. მართალია, სათიბ-საძოვრები საკმაოდაა, მაგრამ წყლისა და ქარისმიერი ეროზიის, ღვარცოფების შემდეგ ბევრი მათგანი მოითხოვს აღდგენას, ხრიოკი და ბუჩქნარი კი გაკულტურებას. ყოველივე ამისათვის საჭიროა შევიძინოთ მთის რთული გეოგრაფიული მდებარეობის შესაფერი მცირეგაბარიტიანი ტექნიკა, მხედველობაში მაქვს მთიანი სავარგულებისათვის მოხერხებული ახალი ტექნიკა, მსუბუქი ბულდოზერები, ტრაქტორები, გუთნები, სათიბელები. თუ ეს პრობლემები დროულად მოგვარდება, რაიონი დაიბრუნებს ძველებურ სახეს, გლეხკაცი დასაქმდება, პროდუქტიულობა მოიმატებს და საქართველოს საზღვრებს გარეთ აღარ გვექნება საძებარი პირველადი პროდუქტები.

თავისუფალ საქართველოს საკუთარი თავის რჩენა უნდა შეეძლოს და შეძლებს კიდეც, თუ ყველამ გულთან ახლოს მივიტანეთ ერის სატკივარი. დროა გავიგოთ, რომ მეცხოველეობას შველა უნდა და აქედანვე მისახედია.

თემურ ბურდილაძე

საზღვარგარეთ

ჩეჩნეთის დიდი ნაბიჯი

მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა საქართველოს მეზობელ ჩეჩნეთ-ინგუშეთში. 27 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგობის მიუხედავად ჩეჩნეთში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. არჩევნებს საერთაშორისო მეთვალყურეებიც დაესწრნენ. პრეზიდენტის კანდიდატურად სამი პიროვნება იყო დასახელებული: გენერალი დუდაევი, გროზნოს უნივერსიტეტის დოცენტი გოიტემიროვი და აგრონომი სულაევი. არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჯოჰარ დუდაევმა, რომელიც ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა. საერთაშორისო მიმომხილველთა აზრით ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დაიწყო ჩეჩენი და ინგუში ხალხის რთული ბრძოლა რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ კავკასიაში ბატონობის წინააღმდეგ. ჯოჰარ დუდაევმა გამარჯვების შემდეგ გამართულ მრავალათასიან მიტინგზე განაცხადა, რომ ახლა ჩვენ უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან სანქციებს, ეკონომიკურ ბლოკადას და ძალმომრეობას, რომელიც სახელმწიფო ტერორიზმში იქნება გადაზრდილი, ახლა თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგმულია, მაგრამ საერთო სიხარულამდე ჯერ შორს არისო.

რუსეთის უზენაესი საბჭოს რეაგირება გროზნოში მომხდარ ამბებზე უაღრესად ნეგატიური იყო. ბორის ელცინი რამდენჯერმე დაემუქრა ჩეჩნებს. მინერალურ წყლების აეროპორტში საბჭოთა ჯარების გადასროლაც დაიწყეს, მაგრამ გროზნოს საქმეებში უხეში სამხედრო ჩარევისაგან რუსეთი ჯერჯერობით თავს იკავებს. სპეციალისტები თვლიან, რომ მას კავკასიაში მეორე ავღანეთის გახსნისა ეშინია. ეს მოვლენა კი თვით რუსეთის ფედერაციის დაშლას დააჩქარებს, რადგან რუსეთიდან გამოყოფის მომხრეთა ძალები დაღესტანში, თათრეთში და ბაშკირეთში ძალას იკრებს.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მათი სახით გაგვიჩნდა მოკავშირე და სერიოზული წანამძღვრები იქმნება კავკასიის საერთო განთავისუფლებისათვის.

ჩეჩნებისა და ინგუშების (ამ უკანასკნელთ ქართველები ქისტებს უწოდებენ), ავტონომია 1944 წელს ჰიტლერთან კავშირის საბაბით სტალინმა გააუქმა და დაახლოებით 400 ათასი კაცი შუა აზიაში გადაასახლეს. ეს იყო ამ ხალხების მიმართ რუსების მიერ განხორციელებული მეორე გენოციდი. დაიწყო ავტონომიური ოლქის მიწების განაწილება. ე. წ. ჩრდილოეთ ოსეთს გადაეცა ქალაქ ორჯონიკიძის საგარეუბნო რაიონი, დაღესტანის, ყიზლარის ნაწილი, ე. წ. ნოვოლაკსკის რაიონი და ჰასავიურთი. 1957 წლამდე გაუქმებულ ავტონომიას გროზნოს ოლქი ეწოდებოდა.

ჩეჩნებს და ინგუშებს ერთმანეთის თავისუფლად ესმით. მათი ენები შედის იბერიულ-კავკასიური ენების ნახურ ქვეჯგუფში მძიმე, რეპრესიული წარსულის მიუხედავად. დღეს რესპუბლიკაში ჩეჩნების რიცხვი 800 ათას კაცს უახლოვდება, 300 ათასი კაცი ჯერჯერობით შუააზიაშია დარჩენილი. დაახლოებით 700 ათასი ჩეჩენი რუსეთის იმპერიის მიერ მოწყობილი პირველი გენოციდის შედეგად საბჭოთა იმპერიის ფარგლებს მიღმა, უმთავრესად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ცხოვრობს. ქისტების რიცხვი სამშობლოში დაახლოებით 360 ათასი კაცია. საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ კიდევ 170 ათასი კაცი ცხოვრობს.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში უკვე კარგა ხანია მოქმედებენ ძალები, რომლებსაც სურთ მოიპოვონ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და შექმნან ძლიერი დემოკრატიული რესპუბლიკა. მათთვის ყოველთვის სამაგალითო როლს ასრულებდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გროზნოში და ნაზრანში ნაკლებად სჩანს ჩვენში მომხდარი პოლიტიკური კინკლაობანი. ჩეჩნები და ქისტები მხოლოდ ერთს ხედავენ ნათლად: საქართველო მძლეთამძლე ნაბიჯებით ისწრაფვის იმპერიული სტრუქტურებისაგან თავის დასაღწევად და ჩვენს წარმატებებს ისინი საკუთარ წარმატებად აღიქვამენ.

ჯოჰარ დუდაევს, როგორც აშკარად გამოხატულ ეროვნულ ლიდერს, ოპონენტები ხშირად სდებენ ბრალს ავტორიტარიზმში. სხვათა შორის, რადიოსადგურ „თავისუფლების" კორესპონდენტმა მასთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელთანაც ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს მჭიდრო კონტაქტი აქვთ დემოკრატთა წრეებში ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. ამის თაობაზე ჯოჰარ დუდაევმა განაცხადა, „მე არაფერი ვიცი ამის შესახებ. საინტერესოა, რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობენ ეს დემოკრატები?".

შეკითხვაზე თუ რა დამოკიდებულება აქვს საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციასთან, ჯოჰარ დუდაევმა უპასუხა, რომ ოპოზიცია, რომელიც პროვოკაციულად მოქმედებს მისთვის მიუღებელია.

თავისუფლების მოპოვების რთულ გზაზე ეროვნულ ძალებს გააზრებული აქვთ ყველა პრობლემის სირთულე. მთავარ წინააღმდეგობად ისინი მიიჩნევენ ოსეთთან და დაღესტანთან ტერიტორიული საკითხების მოგვარებას. განსაკუთრებით რთულად არის საკითხი ოსებთან, ორჯონიკიძის (ვლადიკავკაზი) საგარეუბნო რაიონის თაობაზე. საქმე იმაშია, რომ 1944 წელს, როცა ჩეჩნეთ-ინგუშეთი გააუქმეს საზღვარი მაშინდელი ქალაქის გარეუბანში, ფაქტიურად მდინარე თერგის გაყოლებაზე გადიოდა. მას შემდეგ აშენდა რამდენიმე საცხოვრებელი მასივი და ახლა საზღვრის აღდგენა ახლანდელი ვლადიკავკაზის ფაქტიურად შუაზე გაყოფას იწვევს. ოსები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ამ ნიადაგზე მოხდა ოსებსა და ქისტების რამდენიმე უსასტიკესი შეტაკება.

გაცილებით უკეთ არის საქმე დაღესტნელებთან. მაგალითად დარგიელებმა უკვე დატოვეს ჩეჩნების მიწები. გარკვეული კომპენსაციის გადახდის შემდეგ ლეკებიც ასევე იქცევიან. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეროვნულ ლიდერებს იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკების შედეგად დაღესტანთან ტერიტორიული საკითხი მოგვარდება.

ჯოჰარ დუდაევის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკა აშკარად დაუპირისპირდა რუსეთის ინტერესებს კავკასიაში. იგი კავკასიის განთავისუფლების გასაღებად იქცა და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩეჩნეთი საყოველთაო ყურადღების ქვეშ მოექცა, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთისა და წინა აზიის ქვეყნებში. ცხადია, რომ მუსლიმანური ჩეჩნეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება ახალ რელიგიურ მღელვარებას გამოიწვევს.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად რუსეთის უზენაესი საბჭო ჩეჩნეთის ეროვნული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ ე. წ. მე-5 კოლონიას დაეყრდნობა. უკვე არის ამის მრავალი მაგალითი. ამავე დროს ცენტრის წაქეზებით რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობა, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის 28 პროცენტს შეადგენს პრეზიდენტის ალტერნატიულ არჩევნების ჩატარებას აპირებს. ამის თაობაზე დუდაევის მომხრეებმა განაცხადეს, რომ ამ აქციას არ დავუშვებთო.

ცენტრს კიდევ ერთი დიდი ძალა აქვს. რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ახლად არჩეული თავმჯდომარე ეროვნებით ჩეჩენი რუსლან ჰაზბულატოვი. 46 წლის პროფესორ ჰასბულატოვის მსოფლმხედველობა ნათლად არის ჩამოყალიბებული მის ბოლო წიგნში „რუსეთი გარდაქმნის შემდეგ", სადაც იგი ერთიანი რუსეთის იმპერიის აქტიურ მომხრედ გვევლინება. მან თავმჯდომარის პოსტზე არჩევის შემდეგ გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე დაადანაშაულა „ნეზავისიმაია გაზეტა" და რუსეთის ტელევიზია იმაში, რომ ისინი თითქოს და ხელს უწყობენ რუსეთის იმპერიის რღვევას და დაეხმარენ ჯოჰარ დუდაევის „რეჟიმს" ხელისუფლების სათავეში მოსვლას. ჰაზბულატოვმა ისიც თქვა, რომ რესპუბლიკის 1,5-მილიონიანი მოსახლეობიდან არჩევნებში მხოლოდ 60 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობაო. ასეთი განცხადებები ეწინააღმდეგება ფაქტებს. არჩევნებზე დამსწრე საერთაშორისო მეთვალყურეებმა მართალია, დარღვევები დააფიქსირეს, მაგრამ ოპოზიციის მხრიდან, უფრო მეტიც, ესტონელი მეთვალყურის თქმით კომპარტიის ყოფილი ფუნქციონერები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას, განსაკუთრებით ჰაზბულატოვის მშობლიური რაიონის აჩხოი მარტანის მახლობლად.

როგორც ჩანს მომავალში რუსეთის მაღალი დონის ფუნქციონერის რუსლან ჰაზბულატოვის როლი მშობლიური ჩეჩნეთის მიმართ ისეთივე იქნება, რა როლსაც ასრულებს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მიმართ. ალბათ ასეთიც უნდა იყოს პატივმოყვარე პარტიული ფუნქციონერების საქციელი — მოსკოვიდან ებრძოლონ სამშობლოს.

ასე თუ ისე ჩეჩნეთმა პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა დამოუკიდებლობის გზაზე. იმედი ვიქონიოთ, რომ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის ხელმძღვანელობით შემდგომ ნაბიჯებსაც ასეთივე წარმატებით გადადგამს.

გურამ სიხარულიძე,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.

თურმე ჩეჩნებს აღარ დავეჯერდით და დაღესტანს გადავწვდით

მაისში გამოქვეყნდა რომის პაპის ენციკლიკა, რომელმაც რატომღაც არ მიიპყრო დიდი ყურადღება. მასში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ კომუნიზმის დასასრული არ ნიშნავს მისი მძლეველი დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკური სისტემის უნაკლობას. იქვე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დასავლეთმა არ უნდა დაკარგოს თვითკრიტიკის უნარი და არ უნდა მიეცეს თვითკმაყოფილებას. მართლაც, სისტემა, რომელიც ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოგებას და, აქედან გამომდინარე, პრაგმატიზმს, გარკვეულ უარყოფით ნაყოფს გამოიღებს ჰუმანიტარული ტრადიციების, სულიერი ფაქტორების დაქვეითების თვალსაზრისით. მართლაც, დასავლეთში მწერლის, ლიტერატურის, ხელოვანის გავლენა მკვეთრად ეცემა. ჟურნალისტის კულტურულ-ისტორიული ცნობიერება დაბლდება, ეს თავს იჩენს მათი პუბლიკაციებით, სნობისტური განწყობილებით. აბა, რითი უნდა აიხსნას ის, რომ დასავლეთის მდიდარი გამომცემლები თავიანთ ჟურნალისტებს ჩვენთან აგზავნიან არა რამდენიმე თვით, არამედ ორი-სამი დღით. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ძნელია რეალურ სიტუაციაში გარკვევა. აქედან მოდის ბევრი ფაქტობრივი თუ ისტორიული ხასიათის შეცდომა, თუმცა ძნელია იმის დადგენა, ეს შეცდომები უნებლიეა თუ განზრახ დაშვებული. განყენებულ მსჯელობას აჯობებს მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები. ავიღოთ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი საინფორმაციო სააგენტოს „ასოშიეტედ პრესის" მოღვაწეობა. „ასოშიეტედ პრესი" ეყრდნობა ტასსის მასალებს და მთელ მსოფლიოში ავრცელებს ათასგვარ ინფორმაციას.

სხვათა შორის, საზღვარგარეთის ტელევიზიისა და საინფორმაციო სააგენტოების მოსკოვის წარმომადგენლობებში ძირითადად ისევ რუსი ჟურნალისტები და თარჯიმნები მუშაობენ და ამ ფაქტის ცოდნას ბევრ რამეზე შეუძლია აგვიხილოს თვალი. „ასოშიეტედ პრესმა" ტასსზე დაყრდნობით მთელ მსოფლიოში გაავრცელა ინფორმაცია („ვაშინგტონ ტაიმსი", 30 სექტემბერი), რომლის ნაწყვეტს მთლიანად მოვიყვანთ: „...სამდღიანი დემონსტრაციები საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასრულდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ოფიციალური პირების თხოვნით აქ ჩამოვიდა რუსეთის დელეგაცია, რათა მომხდარ ეთნიკურ კონფლიქტში მომრიგებლის როლი ეთამაშა".

რა არის ეს? შეცდომა თუ შეგნებული დეზინფორმაცია. თურმე, „საზიზღარი" ქართველები ჩაგრავენ საწყალ ჩეჩნებსა და ინგუშებს; „კეთილშობილი" რუსები კი მათ იცავენ. აი, ასეთი მეთოდებით სურს თავისუფალ პრესას გაგვადემოკრატოს „დიქტატურის" მოტრფიალე ქართველები. ბუნებრივად დაგებადება ეჭვი: პრესის თავისუფლება ზოგიერთს სიყალბის თავისუფლებად ხომ არ მიუჩნევია. ყოველ შემთხვევაში ასეთი სიყალბის შემდეგ არ მოგინდება არც პრესა, არც თავისუფლება, არც თვით სიცოცხლე. ხედავთ, რა ნაყოფიერ შედეგს იძლევა „თავისუფალი" ამერიკული პრესის მუშაკთა და რუს „დემოკრატ" ჟურნალისტთა თანამშრომლობა. ერთნი ოპერატიულად აცხობენ ახალ-ახალ სიყალბეებს, მეორენი კი ამ ნახელავს დაუზარელად აწვდიან „მომხმარებელს".

შეიძლება რომელიმე ურწმუნო ადამიანმა მაინც გაიფიქროს, ეს შეცდომაა და მეტი არაფერიო. მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი. „შტუტგარტერ ცაიტუნგი" (5 ივნისი): „...უკვე ამჟამად გამსახურდიას დამსჯელმა აქციებმა სამხრეთელი ოსების წინააღმდეგ აიძულა ყაზახები, ინგუშები, ჩეჩნები და ეთნიკურად მეტად ჭრელი დაღესტანის სხვა მცირე ხალხები იარაღი აესხან". თურმე ნუ იტყვით, საქართველო სამხრეთ ოსეთს აღარ სჯერდება და ჩრდილოეთ კავკასიასაც გადასწვდა. სხვათა შორის, სტატიის ავტორი უვე ენგელბრესტია, რომელიც უკვე 30 წელია ცხოვრობს მოსკოვში და მისი კოლეგების, გერმანელი ჟურნალისტების თქმით, მოსკოველი „აპარატჩიკებისა" და ბობოლა სამხედროების გულის „მესაიდუმლეა" ეს იმ პიროვნებათაგანია, რომელიც ავრცელებს საზღვარგარეთ პასკვილებს საქართველოს შესახებ, შემდეგ კი ამ მასალებს თარგმნიან და ბეჭდავენ რუსული გაზეთები. დასავლეთის ავტორიტეტის მოშველიებით ეს გამოცემები ცდილობენ მეტი დამაჯერებლობა მისცენ თავის ასეთ ანტიქართულ გამოხდომებს.

კიდევ მაგალითი: ამერიკული ჟურნალი „ტაიმსი" (30 სექტემბერი): „დაძაბულობა სამხრეთ ოსეთსა და აჭარაში, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები ავტონომიას მოითხოვენ, საფრთხის ქვეშ აყენებს გამსახურდიას იმედს გაერთიანებულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოზე".

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ აჭარლები თურმე „ეთნიკურ უმცირესობას" მიეკუთვნებიან და არც ავტონომია აქვთ, ამიტომაც იბრძვიან ამ უფლების მისაღწევად. როგორც იტყვიან, აქაც კომენტარები ზედმეტია. როგორც აღინიშნა, ასეთი სახის შეცდომები დასავლურ პუბლიკაციებში ბევრია, ისინი უნებლიე და ხშირ შემთხვევაში განზრახ დაშვებული შეცდომებია. დარწმუნებული ვართ, ასეთ შეცდომებს არ დაუშვებენ ისეთი სოლიდური გამოცემების ჟურნალისტები, როგორებიც არიან კრეგ უიტნი („ნიუ-იორკ ტაიმსი"), ანატოლი ლივენი — „ტაიმსი", ინგლისი; გი სიტბონი — „ნუველ ობსერვერი", (საფრანგეთი), რომლებმაც საკმაოდ ობიექტურად გააშუქეს საქართველოში შექმნილი ვითარება.

დემოკრატიას ეფუძნება ერთა თვითგამორკვევის უფლება. ჩვენმა ხალხმა ბრძოლით, არჩევნებში და რეფერენდუმში გამოხატული ნებით მოიპოვა დამოუკიდებლობის უფლება. ის სახელმწიფოები, რომლებიც არ ცნობენ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობას, ფაქტობრივად, უგულებელყოფენ ჩვენი ერის დემოკრატიულ უფლებებს და ამიტომ ამ საკითხში მორალური არბიტრის როლის შესრულების უფლებას კარგავენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთის პრესის განყოფილება.


U. S. S. R.
KAZAKHSTAN
GEORGIA
Black Sea
Caspian Sea
Aral Sea
UZBEKISTAN
CHINA
KIRGHIZIA
ARMENIA
TAJIKISTAN
AZERBAIJAN
TURKMENISTAN
SYRIA
IRAQ
IRAN
AFGHANISTAN
PAKISTAN
The Washington Times

The Washington Times

WORLD

Soviet republics shaken by co

By Mort Rosenblum
THE ASSOCIATED PRESS

DUSHANBE, U.S.S.R. — Angry demonstrators forced Tajikistan's parliament to lift a state of emergency yesterday, and authorities in Georgia warned protesters to disperse by Thursday or face harsh measures.

Political and ethnic turmoil reverberated across the crumbling union, with Russian officials warning Moldavia against harming ethnic Slavs in their bitter dispute in that western republic.

And the upheaval apparently was worrying Soviet President Mikhail S. Gorbachev, who reiterated a pledge to resign if the 12 remaining republics do not agree on formation of a common market, the Tass news agency said.

"I will immediately leave my post because, without integration, the country is threatened with collapse and this is a lethal path. I myself will not be connected with such a course," Mr. Gorbachev was quoted as saying.

In other developments:

- Teachers staged a brief strike on the Soviet Kuril island of [illegible], vowing [illegible] give up the territories sei[illegible] from Japan after World War [illegible]
- Election officials in the Georgian-controlled territory of Abhazia reported widespread fraud in balloting for a new legislature and said only 39 out of 230 seats could be filled, Tass reported.
- The broadcasting center in the Azerbaijan-controlled region of Nakhichevan was destroyed by mortar fire in a running ethnic dispute. TV and radio transmissions were knocked out and may take many months and millions of rubles to restore, local officials told Tass.
- Three days of demonstrations ended in the Chechen-Ingush autonomous republic in Georgia after a Russian delegation arrived to mediate an ethnic dispute at the request of local officials, Tass said.

?

The failed Aug. 19 Kremlin coup continued to have an impact on the central Asian republic of Tajikistan.

After eight days of mass protests by Muslim and pro-democracy groups, the communist-dominated parliament backed down on its week-old state of emergency and agreed to consider dumping its newly installed hard-line president.

"Whether you want it or not, you cannot keep the people quiet," former President Kadriddin Aslonov told the deputies who removed him Sept. 23 and replaced him with former Communist Party boss Rakhman Nabiyev.

About 10,000 demonstrators remained outside parliament, emboldened by its 178-0 vote to repeal emergency rule. They were determined to stay until all their demands were

საბჭოთა კავშირიდან „ტვინის გადინების" შესახებ

„დღეს საბჭოთა ეკონომიკა ღრმა კრიზისს განიცდის და ქვეყანას ტოვებს ათასობით მეცნიერი, რომლებიც მიემართებიან შეერთებულ შტატებში, ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში თავიანთი ნიჭის გამოყენების საუკეთესო შესაძლებლობათა საძიებლად, — წერს ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ჟურნალი „ბიზნეს უიკი". შესაძლოა ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი „ტვინის გადინება" მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან".

მარტო შარშან, აღნიშნავს ჟურნალი, შეერთებულ შტატებში ჩამოსულ 50 ათას საბჭოთა ემიგრანტს შორის იყო სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხის მქონე 800 კაცი და 10 ათასამდე მაღალკვალიფიციური ინჟინერი. „საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სპეციალისტებს დღეს შეიძლება შეხვდეთ კემბრიჯის აუდიტორიებსა და სილიკონის ველის ლაბორატორიებში. ამერიკის ზოგიერთ კვლევით ცენტრს წამყვან სპეციალისტთა შორის გაცილებით მეტი რუსეთიდან გამოსული ჰყავს, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან. მაგალითად, მინესოტის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტში, რომელსაც ხუმრობით უკვე მისისიპისპირა მოსკოვს უწოდებენ, ექვსი საპროფესორო თანამდებობიდან ხუთი რუსეთიდან ჩამოსულ ემიგრანტებს უკავიათ. კომპანია „პასიფიკ ბელის" კომპანიის სტრატეგიული საინფორმაციო სისტემების ცენტრის ხელმძღვანელია ემიგრანტი რუსეთიდან, რომელმაც სამუშაოზე უკვე მოიწვია ხუთი სპეციალისტი საბჭოთა კავშირიდან პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისათვის. როცა კალიფორნიის ერთ-ერთმა უდიდესმა კომპიუტერის კომპანიამ გამოაცხადა კონკურსი ინჟინერ-პროგრამისტების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად მთელი მიღებული განაცხადებიდან 40 პროცენტს შეადგენდა ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების განაცხადები. რვა მათგანი აიყვანეს კიდეც სამუშაოზე".

შეერთებულ შტატებში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებს შორის, წერს ჟურნალი, არის არა მარტო მრავალი ემიგრანტი, არამედ ისინიც, ვინც დროებითი კონტრაქტებით მუშაობს. ყველა ისინი უნდა დაბრუნდნენ შინ, მაგრამ უდიდესი უმრავლესობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ვადა გაუგრძელონ კონტრაქტს ან დადონ იგი სხვა კომპანიასთან.

„მსოფლიოს ყოველი ფიზიკის ლაბორატორია, — განაცხადა პრინსტონის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დირექტორმა სმითმა, — ბედნიერი იქნებოდა ჰყოლოდა ისეთი სპეციალისტი, როგორიც ალექსანდრე პოლიაკოვია. ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურა საბჭოთა მათემატიკოსმა გრიგოლ მარგულისმა, რომელიც იელის უნივერსიტეტში მუშაობს. შეერთებულ შტატებში საბჭოთა სპეციალისტების უკუგება ძალზე მაღალია. მრავალი მათგანის თქმით, საყოფაცხოვრებო პრობლემების უქონლობა მათს შრომას, როგორც მინიმუმი, ათჯერ უფრო ეფექტიანს ხდის, ვიდრე შინ".

ამერიკის ინტელექტუალურ ბაზარზე გაჩნდა უკვე კომპანია „კაიზერ რისეჩიც", რომელიც ხელს უწყობს ამერიკის ფირმებსა და საბჭოთა მეცნიერებს შორის, — როგორც ემიგრანტებს, აგრეთვე იმათ შორის, ვინც საბჭოთა კავშირში ცხოვრობს, — კონტაქტების დამყარებას. „კაიზერ რისეჩი" კონტროლს უწევს პრაქტიკულად ყველა იმ სამეცნიერო კონკურსის გამარჯვებულებსა და ლაურეატებს, რომლებიც ეწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ მისი დახმარებით მრავალი სამუშაოს მიმცემი პოულობს ნიჭიერ თანამშრომლებს.

აპირებს საპარლამენტთაშორისო კავშირში შესვლას

სომხეთის უზენაესი საბჭო აპირებს შევიდეს საპარლამენტთაშორისო კავშირში.

პარლამენტის პრესცენტრის ცნობით, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია სომხეთის მონაწილეობა ამ არასამთავრობო ორგანიზაციაში. კავშირი აერთიანებს 113 ქვეყნის ეროვნულ საპარლამენტო ჯგუფებს და მხარს უჭერს პარლამენტართა შორის პირადი კონტაქტების განმტკიცებას, მშვიდობის საკეთილდღეოდ მათს ერთობლივ საქმიანობას. მიღებული გადაწყვეტილება მიმართონ ამ კავშირს მის შემადგენლობაში მიღების პირობების გასაცნობად.

23 სექტემბერს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სომხეთმა უკვე მიმართა მიღების შესახებ განცხადებებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იუნესკოს, გამოაცხადა, რომ უერთდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა აქტს, აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ყველა დოკუმენტს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის განვითარების საწინდარი

განვიხილავთ კანონპროექტს

მსოფლიოს მეტ წილ ქვეყნებში მიღებულია კანონი ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ და რიგი კანონებისა, დაკავშირებული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო სისტემებთან. ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციონირების აუცილებელ პირობას შეადგენს მისი საიმედო სამართლებრივი ბაზა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციების ნორმალური შესრულება, ასევე, ყოველი მოქალაქის ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება. ამდენად ასეთი კანონის მიღება აუცილებელია.

ამა წლის 25 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ კანონის პროექტი და უზენაესი საბჭოს საბიბლიოთეკო და სამუზეუმო სიძველეთა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ბ-ნ ზურაბ [illegible] „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ინფორმაციული უზრუნველყოფის კონცეფცია". ეს ორი მასალა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ქვემოთმოყვანილი შენიშვნები შეეხება ჯერ პირველ და შემდეგ მეორე მასალის შინაარსს, ძირითადად ავტომატიზაციის თვალსაზრისით.

პროექტის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა „ხელმძღვანელობს საერთაშორისო სტანდარტებით", მაგრამ, მაგალითად, ბიბლიოგრაფიული აღწერილობის არცერთი საერთაშორისო სტანდარტი ჩვენამდე არ მოსულა. საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა მასალების ავტომატურად მისაღებად აუცილებელია, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა იყოს ისეთი საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაციების წევრი, როგორიცაა საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაცია და დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაცია. ამიტომ ეს მუხლი სასურველია იწყებოდეს ასე: „ეროვნული ბიბლიოთეკა გაწევრიანებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაციებში და როგორც მათი წევრი, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო პროგრამებში". მაგალითი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი. 1992-1997 წლებში ერთ-ერთი ძირითადი პროგრამის „მონაცემთა უნივერსალური გადაცემა და ტელეკომუნიკაციების" ერთი მიმართულება მიძღვნილია რადიოტალღების გამოყენების საბიბლიოთეკო კომპიუტერული ქსელების შესაქმნელად, იქ სადაც სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი არ არის.

პროექტის მე-3 მუხლში სასურველია, რომ „ისტორიული და სხვა კულტურული ღირებულების წიგნები, პერიოდული გამოცემები და ყოველგვარი დოკუმენტები" შეცვლილი იყოს ზუსტი ჩამონათვალით, რომელშიც მითითებული იქნება აგრეთვე კომპიუტერულად გამოყენებადი დოკუმენტები, რომელთა ბიბლიოგრაფიულ აღწერაზე უკვე არსებობს საერთაშორისო სტანდარტი. გარდა ამისა, ამავე მუხლში პროცესების ჩამონათვალში გამოტოვებულია დაკომპლექტება, რომელზეც ბიბლიოთეკის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყოფა და რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პროექტის მე-4 მუხლის შემდეგი რედაქცია „ეროვნული ბიბლიოთეკის მართვას უზრუნველყოფს სახელმწიფო". ამით ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს არა მარტო ფონდების დაცვას, არამედ ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა ფუნქციის სათანადო დონეზე შესრულებას.

პროექტის მე-6 მუხლი სრულებით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღოს უფასო სავალდებულო ეგზემპლარი. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიმაჩნია შემუშავებულ იქნას ცალკე კანონი, რომელიც დაავალდებულებს ყველა გამომცემლობას (სახელმწიფოს, თუ კერძოს) ყველა გამოცემის სავალდებულო ეგზემპლიარი უფასოდ მიაწოდოს ეროვნულ ბიბლიოთეკას. სასურველია, რომ ორივე ეს კანონი მიღებულ იქნას ერთდროულად.

პროექტის მე-11 მუხლში ჩამოთვლილია ეროვნული ბიბლიოთეკის ფუნქციები და არა ამოცანები. ხოლო ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ყოველთვის დარჩება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება თავისი ფუნქციების შესრულებისას. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია კანონში დამატებული იქნას შემდეგი შინაარსის მუხლი: „ეროვნული ბიბლიოთეკა პერიოდულად ხვეწავს თავისი ფუნქციების შესრულებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვითა და გამოყენებით".

ყველა ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ელექტრონული შეერთებული კატალოგების შექმნასა და მომსახურებას, ვინაიდან მკითხველი ნებისმიერი ბიბლიოთეკიდან წამში ადგენს ტელეკომუნიკაციის საშუალებით, თუ რომელ ბიბლიოთეკაში ინახება მისთვის საჭირო მასალა და ასევე ტელეკომუნიკაციის საშუალებით უკვეთავს მას. ამიტომ მე-11 მუხლში დამატებული უნდა იქნას შემდეგი ფუნქცია: „ბიბლიოთეკაში დაცული ყველა ტიპის დოკუმენტისათვის შეერთებული ელექტრონული კატალოგების შექმნა და მათი მომსახურება".

სამეცნიერო-კვლევით ფუნქციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია უნივერსალური ათობითი კლასიფიკაციისა და სხვა საბიბლიოთეკო ან საგამომცემლო კლასიფიკაციური სისტემების საბჭოური სისტემების ნაცვლად მათი ქართული ეროვნული რედაქციების დამუშავება და რესპუბლიკის მასშტაბით დანერგვა.

რესპუბლიკის მთელ საბიბლიოთეკო სისტემას ესაჭიროება გაუმჯობესება და შესაბამისი კანონის მიღება, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი სამეცნიერო კვლევა. მთელი საბიბლიოთეკო სისტემის შესწავლა, რესპუბლიკის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა რთული სამეცნიერო ამოცანაა და ეს ამოცანა პერიოდულად უნდა წყდებოდეს. ამ კვლევითი ამოცანის, სწორედ პერიოდულად შესრულების აუცილებლობის გამო ეროვნულ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს დაკისრებული დამატებითი ფუნქცია: „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა რესპუბლიკური საბიბლიოთეკო სისტემის, როგორც ერთიანი სისტემის, განვითარების მიზნით".

ვინაიდან, თავისი ფუნქციების შესრულებისას, თითქმის ნებისმიერ ბიბლიოთეკას ყოველთვის ექნება სახსრების უკმარისობა, ამიტომ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციაზე ძნელია ხარჯვა, თუ ამაზე თანხები სპეციალურად არ იქნა გამოყოფილი. ამასთან დაკავშირებით მე-18 მუხლში მიმაჩნია მიზანშეწონილად შემდეგი მუხლის დამატება: „ამ სახსრებიდან ცალკე სტატიით გამოიყოფა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვისათვის განკუთვნილი თანხა".

რაც შეეხება მეორე მასალას, განსაკუთრებით მინდა გამოვყო ის მოსაზრება, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის შემადგენლობაში დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სტრუქტურული ერთეულის სახით შევიდეს „ტექინფორმი", წიგნის პალატა და უზენაესი საბჭოს არქივი. ამ გაერთიანებამ შეიძლება გამოიღოს შემდეგი მნიშვნელოვანი შედეგები:

1. „ტექინფორმს" გააჩნია დიდი გამოცდილება ხელმძღვანელი მუშაკების ანალიზური ინფორმაციით მომსახურებაში, ხოლო ეროვნულ ბიბლიოთეკას, ინფორმაციის უმდიდრესი წყაროები. ამიტომ მათი ტექნოლოგიური დაკავშირება გამოიწვევს ინფორმაციული დონის ამაღლებას არა მარტო ხელმძღვანელი მუშაკების, არამედ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის.

2. „ტექინფორმს" ათვისებული აქვს ტელეკომუნიკაციის საშუალებით ინფორმაციის ძიება. როგორც თავის დიდ კომპიუტერში, ასევე გარეშე ინფორმაციულ რესურსებში. „ტექინფორმის" გამოთვლითი რესურსები ეროვნულ ბიბლიოთეკას, კერძოდ, მისცემს ტექნოლოგიურ შესაძლებლობას ყველა ბიბლიოთეკის პერსონალური კომპიუტერი დაუკავშიროს ერთ დიდ კომპიუტერს და აწარმოოს შეერთებული კატალოგები.

3. წიგნის პალატის ფუნქციებს ყველგან, საბჭოთა კავშირის გარდა, ასრულებს ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე დამუშავებულია კატალოგიზატორის ავტომატიზებული სამუშაო ადგილი, რომლითაც შეიძლება სტანდარტული საკატალოგო ბარათისა და წიგნის მატიანის მაკეტის ამობეჭდვა და სტატისტიკური ანალიზის ჩატარება. თუ ეს ავტომატიზებული სისტემა დაინერგა წიგნის პალატაში, მაშინ საქართველოში გამოცემული წიგნების დამუშავება ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღარ იქნება საჭირო და უფრო მეტიც, საკატალოგო ბარათები (როგორც ტრადიციული სახით, ასევე მანქანურ მატარებლებზე) შეიძლება გამრავლდეს მთელი რესპუბლიკის ბიბლიოთეკების შეკვეთით.

თ. ხხენკელი,
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების გამგე.

პრობლემა

არის გამოსავალი: გაუქმდეს ბენზინის სატალონო სისტემა!

თბილისის ავტოგასამართ სადგურებზე, მეტადრე ამ ბოლო დროს, დიდი გაჭირვებაა ბენზინით უზრუნველყოფის საქმეში.

მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ზოგიერთი ავტომფლობელი თანახმაა ერთი ლიტრი ბენზინის ფასი დღევანდელ ფასთან შედარებით გაიზარდოს, ოღონდაც მისი დეფიციტი არ შეიმჩნეოდეს. ეს არ არის მარტო თბილისელების გასაჭირი, საერთო პრობლემაა მთელი რესპუბლიკისათვის, მაგრამ მათი გადაწყვეტის გზები უფრო მკვეთრად გამოჩნდება თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს მუშაობის ფონზე თავისი მასშტაბებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე. ამის თაობაზე შევხვდით და ვესაუბრეთ თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს უფროს თეიმურაზ ჯიბლაძეს.

— ვფიქრობ, ბენზინით მომარაგების საკითხი არაა ლოკალური პრობლემა. იგი თავისი შედეგებიდან გამომდინარე გლობალურია და ძალზე მძიმე დაღს ასვამს საერთოდ ეკონომიკას. ამავე დროს უარყოფითად მოქმედებს დედაქალაქში კერძო ავტომფლობელების და არა მარტო მათს გუნება-განწყობილებაზე. ეს ნერვული ატმოსფერო ერთ-ერთი მიზეზია მთელ რესპუბლიკაში შექმნილი არასტაბილური სიტუაციისა.

ამ სამიოდე წლის წინათ მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის წინადადებით შევედით ზემდგომი კომიტეტის წინაშე, რათა საცალო საქონელბრუნვის უზრუნველსაყოფად გამოყოფილიყო თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს გარკვეული რაოდენობის მოცულობები და მომხდარიყო მათი ავტონომიური მომარაგება განცალკევებით სახალხო მეურნეობის ობიექტებისაგან, რაც საშუალებას მოგვცემდა მთელი პასუხისმგებლობა როგორც მომარაგების სტაბილურობაზე, ასევე პროდუქტის ხარისხზე ყოფილიყო ერთი იურიდიული პირის — სამმართველოს ხელში. (დღეს ბენზინის მომარაგებიდან მის რეალიზაციამდე პროცესში ჩართულია მომწოდებელი ქარხანა, ნავთობბაზა, ტრანსპორტის სამინისტროს ავტობაზა და თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველო, რომელთა შორის იფანტება პასუხისმგებლობა. მაგრამ ამ წინადადებასაც დუმილით შეხვდა კომიტეტის ხელმძღვანელობა. პრობლემა დღესაც აქტუალურია.

კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვან წარსულიდან. ჯერ კიდევ გასული წლის 14 ივლისის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „როგორ შევავსოთ კანისტრა?" ხაზგასმული იყო ჩვენი პოზიციის შესახებ, რომ მაშინდელი პარალელური სტრუქტურები ხელს უშლიდა და კიდევ უფრო ართულებდა ისედაც დაძაბულ სიტუაციას. გვმახსოვრებათ თუ რა განგაში ატეხა რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სამტრედიის ცნობილი აქციის გამო, რომ ვითომდა მას გამოეწვიოს ენერგეტიკული კრიზისი და ამის გამო ფერხდება საწვავის მიწოდება. გაუთვითცნობიერებელ და საქმეში ჩაუხედავ კაცს ამით, რა თქმა უნდა, მოატყუებდნენ. სინამდვილეში კი კრიზისი დაიწყო კიდევ უფრო ადრე — 1988 წლის ივლისში (ამას სტატისტიკაც დაადასტურებს), როდესაც მოხდა ორი თითქოსდა მონათესავე სისტემის — გაზიფიკაციისა და ნავთობპროდუქტების კომიტეტების შერწყმა. ხოლო გასულ მაის-ივნისის თვეში, მაშინ როცა თბილისი თითქმის პარალიზებული იყო ავტობენზინების უქონლობით, ბათუმში „მკვდარ" ტვირთად იდო რამდენიმე დღის განმავლობაში აი-92 მარკის 9000 ტონა ბენზინი და მისი გადანაწილება „საქსათბობის" კომიტეტის მიერ მოხდა მთელს რესპუბლიკაში, გარდა თბილისის რეგიონისა. ამას, იმ სიტუაციაში, გამართლება არ მოეძებნება.

ჩემის აზრით წყლის საბოლოო ამღვრევა აქედან იღებს სათავეს: საბოლოოდ მოიშალა ყველა არსებული კავშირურთიერთობანი, ხოლო ყველაფრის სამტრედიის აქციაზე გადაბრალება — ეს იყო მორიგი ტრიუკი.

რა არის საჭირო თქვენი აზრით, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს?

— პირველი, აღნიშნულ ეტაპზე აუცილებელია სამმართველოს გამოეყოს სასაწყობო მეურნეობა, რათა მას მიეცეს უფლება და საშუალება თვითონ, პირდაპირ კავშირებით შემოზიდოს ბენზინები, ხოლო ფასი დადგინდეს შემოტანილი საწვავის კალკულაციის მიხედვით (ამ ბოლო დროს წავაწყდით შემდეგ პრობლემას: — როდესაც მომწოდებელთან პირდაპირ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მათ მოიშველიეს ჩვენი ზემდგომი ორგანოს — კონცერნის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მითითება, რომ უმისოდ არ მიეწოდებინათ საწვავი კონცერნის ორგანიზაციებისათვის. ამავე დროს ბინსოცბანკს აქვს კონცერნის იმავე მუშაკის მითითება, რომ თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს თურმე უფლება არ ჰქონია გადარიცხოს თანხა ნავთობპროდუქტების შემოსაზიდად).

და მეორე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ნავთობბაზის და სამმართველოს გაერთიანება (რასაც აპირებს კონცერნის ხელმძღვანელობა), რადგან იგი ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს. მით უმეტეს, რომ, დღეს ყველამ თავის ვიწრო პრობლემას უნდა მიხედოს — ერთმა უზრუნველყოს ქალაქის გიგანტური მეურნეობა საწვავით და მეორემ მიხედოს ავტომფლობელთა ბენზინით უზრუნველყოფის საქმეს. ორივე ერთად კი უნდა ემსახურებოდეს რესპუბლიკის ინტერესებს და უნდა გახდნენ თავიანთი კომპეტენციის პირობებში საქართველოს დღევანდელი სიტუაციის სტაბილურობის ფაქტორი.

— გარდა იმისა, რომ არსებობს დეფიციტი საწვავით მომარაგების საქმეში, იმრავლა მომხმარებლის მხრიდან საჩივრებმა იმის შესახებ, რომ ავტოგასამართი სადგურების მუშაკები ხშირად უხეშობენ. ატყუებენ მომხმარებლებს, ასევე ზედმეტს ახდევინებენ. არის თუ არა განსაზღვრული ფასები?

— დიახ, პრობლემა მეტად სერიოზულია და, როგორც დღეს ყველა აღიარებს, გამოწვეულია სოციალისტური ეკონომიკის მანკიერი სტილით. მისი გამოსწორება კი არცთუ ისე იოლი საქმეა. მაგრამ როგორღაც ხომ უნდა მიეხედოს პრობლემის ორგანიზაციულ მხარეს. როგორც ყველგან, აქაც მოქმედებს ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

ჯერ მოგახსენებთ ობიექტურის შესახებ: საერთოდ ყოველგვარი დეფიციტი იწვევს ზნეობის დაცემას, რაც თავისთავად, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება.

ჩრდილოვანი მხარეები, როგორიცაა: უხეშობა და მომსახურებისას პროდუქტის დანაკლისებით გაცემა, ჩვენი სისტემის მუშაკებს არც ადრე აკლდათ. მასთან ბრძოლა, — ადრეც მიმაჩნდა, და ამჟამადაც ღრმად ვარ დარწმუნებული, — უნდა მომხდარიყო პირველ რიგში ეკონომიკური ბერკეტებით. ჩვენ სამიოდე წლის წინათ დავსვით საკითხი, რომ შესასყიდ და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობიდან გარკვეული პროცენტი დარჩენილიყო რეალიზატორის ანგარიშზე — მათ შორის სხვაობა შეადგენს ერთ ტონა ბენზინზე გაანგარიშებით 413 მანეთს — ე. ი. შესასყიდი — 107 და გასაყიდი — 520 მან. — ამავე დროს რეალიზატორის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს მუშაკების ხელფასები გაიცემოდა სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოტაციიდან და თითოეულ ოპერატორზე თვეში შეადგენდა 107 მანეთს. ამ პირობებში, როდესაც ავტოგასამართ სადგურებზე სამუშაო გარემო ითვლება უაღრესად მავნედ ბენზინის მაღალი აორთქლების გამო და მთელი დღე-ღამის განმავლობაში თითოეულ ობიექტზე ხდება 1500-3000 ავტომანქანის გამართვა და ნავაჭრი თანხის სისტემატური ინკასაცია — დღეში 3,5 მანეთი ხელფასის სახით. დამეთანხმებით ეს ძალზე ცოტაა. სწორად გამიგეთ, სრულიადაც არ ვამართლებ ავტოგასამართი სადგურების ოპერატორების მხრივ უკანონო მოქმედებას, მაგრამ არსებულიდან გამომდინარე, ცდუნება საკმაოდ დიდია და შედეგიც არ აყოვნებს.

1990 წელს ბრუნვის გადასახადიდან მოიხსნა ზედმეტი 9 პროცენტი და ვაჭრობის სისტემას დაგვიბრუნდა როგორც სავაჭრო დათმობის გარკვეული პროცენტი, მაგრამ ლომის წილი კვლავ ზემდგომმა, იმჟამად საქსათბობის კომიტეტმა მიითვისა. დღეს როგორც იქნა ჩვენც ვეღირსეთ მცირედ ნაწილს აქედან და უკვე იკლო დეფიციტის გამო რეალიზაციამაც და შესაბამისად შემოსავალმაც.

სუბიექტური ფაქტორი. დღევანდელ სიტუაციაში დანაშაულის გამომწვევ ძირითად მიზეზად მიმაჩნია ბენზინებზე სატალონო სისტემის ყოვლად გაუმართლებელი შემოღება.

შარშან შემოიღეს სპეციალური ტალონები ბენზინების გაცემაზე ქ. თბილისში (რა დააშავა რესპუბლიკის მოსახლეობის დანარჩენმა ნაწილმა?).

ჩვენი სამმართველოს მუშაკების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ბენზინებზე სატალონო სისტემის შემოღებისა, რადგან გასული წლების პრაქტიკამ ნათლად გვაჩვენა, რომ ტალონები არ არის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი. როდესაც მაშინდელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ 1990 წლის 15 აგვისტოს ჩვენს სამმართველოში სპეციალურ თათბირზე გამოგვიცხადა, რომ მეორე დღიდან უნდა გადავსულიყავით სატალონო სისტემაზე, პირადად მე გამოვთქვი გულისწყრომა ასეთი სახის დიქტატის გამო და მოვითხოვე, რომ ჯერ ეკითხათ ავტომფლობელებისათვის და შემდეგ შეგვკითხოდნენ ჩვენც — რეალიზატორებს, უშველიდა თუ არა ეს საქმეს. ამაზე კომიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი ყველას ვერ მოუსმენდა. დიქტატს შეჩვეულთაგან სხვას არც მოველოდით. მას შემდეგ არაერთხელ დავსვით საკითხი, რომ გაუქმებულიყო სატალონო სისტემა, მაგრამ...

ესე იგი ორგანიზატორების ჩანაფიქრით სატალონო სისტემას უნდა დაეცვა თბილისელი ავტომფლობელები. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გართულდა თბილისის ბენზინით მომარაგება და ბოლოს ბენზინის რეალიზაციის დღეებად დადგინდა კვირაში სამი დღე — ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი.

ამავე დროს პროცესები ისე განვითარდა, რომ გარდა კონცერნ „საქნავთობპროდუქტების" სისტემისა, ბენზინი მთელ რესპუბლიკაში შემოაქვთ სხვადასხვა ასოციაციებს და ორგანიზაციებს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ვემობდე ბენზინის შემოზიდვას არსებული დეფიციტის პირობებში; დღეს თუკი რესპუბლიკის ინტერესებს რაიმე წააწყდება სასიკეთოდ, მისასალმებელია. და შეიქმნას სრულიად არაორდინარული სიტუაცია, როდესაც თბილისში ბენზინი დეფიციტია და რესპუბლიკის დანარჩენი რეგიონები შარშანდელთან შედარებით უკეთ არიან უზრუნველყოფილი. რაღა საჭიროა თბილისში ბენზინზე სატალონო სისტემა? მათ მიერ შემოზიდულ ბენზინზე ფასი გაცილებით მაღალია, ხოლო ჩვენს ობიექტებზე იგი შეადგენს აი 76-ის — 63 კაპიკს და აი 93-ისა — 84 კაპიკს. ამავე დროს, ამით სარგებლობენ ჩვენი მუშაკები და ხშირად ბენზინს მაღალ ფასად ჰყიდიან, რისი კონტროლიც, არსებულ სიტუაციაში, ჩვენი მხრიდან ძალზე გართულებულია. ეს საბაბს აძლევს ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ ადამიანს, რომ ზედმეტი გამოსძალოს ბენზინის საფასური — „თუ არა გაქვს ტალონი უნდა გადამიხადო ზედმეტი ფასი" — გააჩნია მადას და სინდისს. აქ უკვე არავითარი ზემოქმედება აღარ ჭრის. გათავისუფლება კი — ერთს გაათავისუფლებ, მეორე ჯიუტად ადგას ძველ გზას.

გამოსავალი მხოლოდ ერთია — უნდა გაუქმდეს სატალონო სისტემა. მის შემოღებამდე ზედმეტი თანხის გამოძალვის ფაქტორი მაინც არ იყო სისტემის მუშაკებისათვის დამახასიათებელი.

საბრძოლველი და მოსავლელ-გამოსასწორებელი ბევრი გვაქვს და თუ ეკონომიკური ბერკეტებითაც ვერ გავხდით ვერაფერს, იქნებ მოსალოდნელმა პრივატიზაციამ მაინც გამოასწოროს მდგომარეობა.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი: ავტოგასამართი სადგურების სტაციონარული ობიექტები უმოქმედოდაა. ეს კი ყოვლად გაუმართლებელია იმიტომ, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტი ამ მხრივ მარტო თბილისში ყოველწლიურად კარგავს 25-30 მილიონ მანეთს. ყოველ რეალიზებულ ერთ ტონა ბენზინზე სამმართველო იხდის ფასთა სხვაობას 260 მანეთის ოდენობით.

ესაუბრა
თემურ ბურდილაძე

წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა რედაქციაში გვეწვია თბილისის ავტოგასამართი სადგურების უფროსი თეიმურაზ ჯიბლაძე და გვითხრა, რომ მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოში დანიშნული იყო შრომითი კოლექტივის კრება სამმართველოს საიჯარო ფორმაზე გადასვლის საკითხის განსახილველად. კრებაზე მოწვეული იყვნენ კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" ხელმძღვანელები. კონცერნის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. კოტრიკაძემ კრებას მოულოდნელად გააცნო მორიგი, კრების წინ ხელმოწერილი გადაწყვეტილება: კონცერნის განკარგულებით თბილისის კომერციულ-საშუამავლო საწარმოს შემადგენლობაში (ყოფილი ნავთობბაზა) გაერთიანდა თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველო და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია. იგი შეუთანხმებიათ კონცერნის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ არც სამმართველოს 80-კაციანი კოლექტივისათვის უკითხავთ რაიმე და არც კონცერნის საბჭოს სხდომაზე განუხილავთ (მით უმეტეს, რომ ნავთობბაზაც არაა თანახმა შეერთებაზე).

სამმართველოს კრებამ ერთხმად უარყო კონცერნის განკარგულება, როგორც უკანონო. კონფლიქტი ახალ ფორმას იღებს, რაზეც ვ. კოტრიკაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი არ მიაწვდიან საწვავს თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს ობიექტებს, თუ ეს უკანასკნელნი არ დათანხმდებიან გაერთიანებაზე, და პროდუქტით მოამარაგებენ ავტოცისტერნებს. აი, თურმე როგორ ზრუნავენ ქ. თბილისის მომარაგებაზე!

კრებამ გადაწყვიტა იჯარაზე გადასვლა და ობიექტების ავტონომიური მომარაგება.

და ბოლოს, საკითხავია, ნუთუ ხელს უშლიდა თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს ცალკე არსებობა თბილისის ნავთობბაზის ნორმალურ მომარაგებას ნავთობპროდუქტებით?

ამინდი

შემოდგომა იწურება

დადგა ნოემბერი, შემოდგომის უკანასკნელი თვე. როგორი ამინდი გვექნება ნოემბერში? კლიმატური მონაცემებით ჰაერის საშუალო ტემპერატურა ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით — 4-8 გრადუსით დაბალია, დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იგი მერყეობს 10-დან 13 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და ზოგან მთიან რაიონებში 5-დან 8 გრადუსამდე; თუმცა ცალკეულ წლებში იგი საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობისაგან მკვეთრად განსხვავდება. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი რესპუბლიკის ბარში აღწევს 25-30 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი კოლხეთის დაბლობზე იკლებს 1-9 გრადუს ყინვამდე, ქართლის ვაკესა და კახეთში 15-18 გრადუს ყინვამდე, შირაქის ველის გამოკლებით, სადაც იგი 20-25 გრადუს ყინვამდე იკლებს.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მერყეობს 130-დან 300 მმ-დე (მთებში ზოგან 80-დან 100 მმ-დე), აღმოსავლეთ საქართველოში 30-დან 80 მმ-დე.

ნოემბერში ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება მოსავლის აღება, იკრიფება ციტრუსები, მიმდინარეობს სხვა მრავალი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ამინდის ხასიათს.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის ცნობით მიმდინარე წლის ნოემბერში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია 12-14 გრადუსი, მთაში — 6-9, მაღალმთიან რაიონებში — 3-5 გრადუსი, რაც 1-2 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე. თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 0-5 გრადუს სითბომდე, მთაში 0-3 გრადუს ყინვამდე, მაღალმთიან რაიონებში 5-10 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები (ჩრდილო მთიან რაიონებში მასთან ახლოს).

აღმოსავლეთ საქართველოში, ჰაერის საშუალო ტემპერატურა ბარში მოსალოდნელია 6-10 გრადუსი, მთიან და მაღალმთიან რაიონებში 2-7 გრადუსი. თვის მეორე ნახევარში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით ბარში 0-5 გრადუს ყინვამდე (შიდა ქართლსა და შირაქ-ელდარის რაიონებში 6-7 გრადუს ყინვამდე), მთაში 3-8, მაღალმთიან რაიონებში 10-15 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი.

შედარებით მაღალი ტემპერატურული რეჟიმი და საკმაო ტენუზრუნველყოფა ხელს შეუწყობს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების შემდგომ ვეგეტაციას და მათი გამოზამთრებისათვის მზადებას.

ნოემბერში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ძირითადად ნორმაზე ნაკლები და მასთან ახლოს.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

გამოსათხოვარი

ავთანდილ იოსელიანი

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 80 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ავთანდილ პავლეს ძე იოსელიანი.

ა. იოსელიანი დაიბადა 1911 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში, 1929 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი ქ. ქუთაისში. 1931 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1936 წელს წარჩინებით დაამთავრა თეორეტიკოს-ეკონომისტის კვალიფიკაციით და იმავე წელს დატოვეს უნივერსიტეტში, სადაც ლექციებსა და სემინარებს ატარებდა პოლიტეკონომიაში.

1937 წელს ა. იოსელიანი ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში საქართველოს ისტორიის სპეციალობით. მან დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამთავრა ასპირანტურა და 1941 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რის შემდეგაც ჩაირიცხა ენიმკის ინსტიტუტში, მეცნიერ-თანამშრომლად. 1939 წლიდან ა. იოსელიანი ლექციებს კითხულობდა ბათუმისა და ქუთაისის პედინსტიტუტებში.

სამამულო ომის დაწყებისთანავე ა. იოსელიანი ფრონტზე წავიდა. 1948 წელს დემობილიზებულ იქნა მოქმედი არმიიდან და გააგრძელა პედაგოგიური მუშაობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში და დამხმარე ისტორიულ დისციპლინებში.

1948-1965 წლებში ა. იოსელიანი მუშაობდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგედ. 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

1960 წელს ა. იოსელიანმა თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1964 წელს პროფესორის წოდება.

ა. იოსელიანი არის 250-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომის, მათ შორის 15 წიგნის ავტორი, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" V ტომის და „თბილისის ისტორიის" II ტომის თანაავტორი.

ა. იოსელიანის ფუნდამენტური წიგნებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის პრობლემები", „საქართველო დიდ სამამულო ომში", „საქართველოს ისტორიის ქრონიკები" და სხვ.

ა. იოსელიანი ბევრი საისტორიო წყაროს, მრავალი ისტორიული ფაქტის პირველაღმომჩენია, ისტორიული მეცნიერების არაერთ სფეროში მან ახალი სიტყვა თქვა, რითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ა. იოსელიანს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით არაერთმა მუშაკმა დაიმსახურა სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი ავთანდილი იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს და არაერთი სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მრავალი რეგიონალური, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე.

ღვაწლმოსილმა პიროვნებამ, მამულიშვილმა, ა. იოსელიანმა მოასწრო წარუშლელი კვალის დატოვება ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. იგი მუდამ დაგვამახსოვრდება როგორც უანგარო, სპეტაკი, გულისხმიერი და კეთილმოსურნე კოლეგა, რომელიც მუდამ სიკეთეს თესავდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი;

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი.

თავდასხმა რაიონულ განყოფილებაზე

როგორც ამბროლაურის პრეფექტმა გოჩა ბიჭაშვილმა გადმოგვცა, მოხდა თავდასხმა შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაზე. გატაცებულია იარაღი, წაყვანილია შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ბედენაშვილი, მძიმედ არის დაჭრილი მოქალაქე ბიჭაშვილი. მოსახლეობა შეშფოთებულია, სკოლებში შეწყვეტილია სწავლა, პარალიზებულია სამშენებლო კომპლექსის მუშაობა.

ამბროლაურის რაიონის პრეფექტურა ახორციელებს ღონისძიებებს მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის.

ჯემალ ბურული,
„საქართველოს რესპუბლიკის"
საკ. კორ.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობა

25 ოქტომბერს კრასნოდარიდან ქ. ახალქალაქში მიდიოდა ავტომანქანა ვაზ-2105 სახელმწიფო ნომრით ა 61 99კპ, რომელსაც მართავდა კრასნოდარის მხარის ქ. კროპოტკინში მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული ალბერტ აივაზის ძე მურადიანი. მასთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე, 1966 წელს დაბადებული სვეტლანა მურადიანი, მათი შვილი, 10 თვის აივაზ ალბერტის ძე მურადიანი და მათი ბიძა, 1947 წელს დაბადებული მიკო ალექსანდრეს ძე მურადიანი. ყველანი ახალქალაქელები არიან. ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე მათ თავს დაესხა ოთხი ბოროტმოქმედი შეიარაღებული ცეცხლსასროლი იარაღით, მძღოლი ავტომანქანიდან გადმოსვეს, წაართვეს 1000 მანეთი, ხოლო დანარჩენი მგზავრები ავტომანქანასთან ერთად გაიტაცეს. გატაცებულ ავტომანქანას მართავდა ქ. თერჯოლაში მცხოვრები, 19 წლის უმუშევარი დავით დემურის ძე დოლაკიძე, რომელიც მილიციის მუშაკებმა ფაქტზე დააკავეს. მან დიდი სიჩქარის გამო ვერ დაიმორჩილა საჭე და ხევში გადაიჩეხა.

ავტოავარიის შედეგად მიკო მურადიანს იქვე მოსწყდა ფეხები, 10 თვის ბავშვს აივაზ მურადიანს მენჯის ძვლის მოტეხილობა აქვს, ხოლო სვეტლანა მურადიანს, რომელიც ფეხმძიმედ იყო, სურამის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გაუკეთეს ოპერაცია. გარდა ამისა, ახალგაზრდა ქალს ორივე ფეხი მუხლს ზემოთ მოკვეთეს.

დაკავებულია ამ ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთი მონაწილე თერჯოლელი გიზო მხეიძე. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამსახურის მუშაკები ახორციელებენ ღონისძიებებს ამ ბანდის დანარჩენი ორი წევრის დასადგენად და დასაკავებლად.

დაზარალებულები მოთავსებულნი არიან დაბა სურამის საავადმყოფოში.

დაბა სურამის მოსახლეობამ, ეს ტრაგიკული შემთხვევა გულთან მიიტანა, რომელმაც დაზარალებულთა დასახმარებლად უყოყმანოდ გაიღო 2 ლიტრამდე სხვადასხვა ჯგუფის სისხლი.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო სამმართველოს ცენტრალურმა აპარატმა.

სოლიდარობა გამოუცხადეს

ქუთაისის ტაქსის საწარმოს მძღოლებმა განაახლეს გაფიცვა, რომელსაც ქალაქის ყველა სატრანსპორტო მეურნეობის კოლექტივი შეუერთდა. ახალი გაფიცვის მიზეზი გახდა ავტომანქანების გატაცება და ტაქსის მძღოლებზე ბანდიტური თავდასხმები.

ქუთაისის ტაქსების პარკის ერთ-ერთი მძღოლი ავთანდილ აფხაძე თერჯოლის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა უგონო მდგომარეობაში იპოვეს სოფელ ჭოგნარში. რთული ოპერაციის შემდეგ ახლა იგი ქუთაისის პირველი საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაშია.

ქალაქ ტყიბულის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებმა მხარი დაუჭირეს ქუთაისის ტაქსომოტორულ ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივის გაფიცვას უსაფრთხოების გარანტიის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

29 და 30 ოქტომბერს საწარმოს პარკიდან სამუშაოდ არ გავიდა არც ერთი, ანუ 75 საქალაქო, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ავტობუსი და 36 ტაქსი. შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომლის მთავარი მოთხოვნაა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გააქტიურება მძღოლების უსაფრთხოების დაცვისათვის.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებამ ქალაქისა და ზონის სოფლებში შეაფერხა რითმული მუშაობა, გამოიწვია მშრომელების საერთო გაღიზიანება.

ქუთაისელთა აქციას ასევე მხარი დაუჭირეს ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლებმა. პარალიზებულია ქალაქი.

სურათზე: გაფიცული არიან ქუთაისელი ტაქსის მძღოლები.

გურამ გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გა-ლი-ნა! გა-ლი-ნა!

ამა წლის 20 ოქტომბერს გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ" კიდევ ერთი „ნოვოსტი" მიაწოდა მკითხველს. რუბრიკაში — „აზრები" შეგიძლიათ გაეცნოთ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — სერგეი სტანკევიჩის, სერგეი ალექსეევის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ლევ ოვრუცკისა და დეპუტატ გალინა სტაროვოიტოვას პასუხებს რედაქციის მიერ დასმულ ერთადერთ კითხვაზე: „რუსეთი გავა სსრკ-დან და მერე რა იქნება"?

სანამ პასუხების შინაარსით დავინტერესდებოდეთ, მოდით, თვით კითხვა განვიხილოთ.

დღეს ყოველმა მეტნაკლებად განათლებულმა კაცმა იცის, რომ ე. წ. სსრ კავშირი სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთის კომუნისტური იმპერია, და დასმული კითხვაც ასე უნდა გავიგოთ: რა მოხდება, თუ რუსეთი გავა რუსეთის იმპერიიდან?

ხომ აბსურდული კითხვაა?, მაგრამ ის უკვე დასმულია და პასუხიც უნდა გაეცეს.

ბატონი სტანკევიჩი შეუწუხებია იმას, რომ პუტჩის შემდეგ რესპუბლიკებს ინტენსიურად დაუწყიათ თავიანთი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტების ჩამოყალიბება და ლამის არის მგლებივით დაგლიჯონ ეს უცოდველი კრავი — რუსეთი. ყველაფერი, რაც ჩვენს ტერიტორიაზეა, ჩვენ გვეკუთვნის, ხოლო რაც რუსეთის ტერიტორიაზეა — უნდა გავინაწილოთო, განუცხადებიათ რესპუბლიკებს. კიდევ გაუწევდა საბრალო რუსეთი ამ მჩაგვრელ რესპუბლიკებს წინააღმდეგობას, მაგრამ ბედი არ გინდა? — რუსეთი სახელმწიფოებრიობის არმქონე მხარე ყოფილა. ჰოდა, სტანკევიჩის აზრით, რუსეთის ხსნა ერთშია, — იგი დამოუკიდებელი უნდა გახდეს, მის ტერიტორიაზე არსებული საკავშირო საკუთრება თავისად უნდა გამოაცხადოს და შემდეგ ამ პოზიციიდან უნდა ელაპარაკოს რესპუბლიკებს. მაგრამ მერე რაღა იქნება მოსალაპარაკებელი, ბ-ნი სტანკევიჩი არ ბრძანებს.

რუსეთის საკუთარი იმპერიიდან გასვლა არც ბატონ ალექსეევს ახატია გულზე, რადგან, მისი აზრით, რუსეთმა შეიძლება რაიმე მოიგოს მატერიალურად, მაგრამ წააგებს ზნეობრივად და სულიერად. გამოდის, რომ რუსეთის იმპერიის არსებობა რუსი ხალხის ზნეობისა და სულიერების ქვაკუთხედი ყოფილა. არა, ნამდვილად ვერ ვკადრებდი ასეთ რამეს ჩვენგან უაღრესად პატივცემულ რუს ხალხს.

ჩვენ სამოქალაქო საზოგადოება უნდა შევქმნათ და ეს მხოლოდ სახელმწიფოთა და ხალხთა თანამეგობრობის პირობებშია შესაძლებელიო, ასკვნის ბატონი ალექსეევი.

ბატონ ოვრუცკის ხელი ჩაუქნევია იმპერიაზე და აცხადებს; საქართველოსა და თურქმენეთის მხარდაჭერის გარეშეც არ დავიღუპებითო.

მეტად საყურადღებოა ქალბატონ გალინა სტაროვოიტოვას აზრი. საკმარისია, ამბობს იგი, დახედოთ რუკას და დაინახოთ რა გეოგრაფიული დანაკარგები გველოდება. ჩვენ (ე. ი. რუსები — ი. ბ.) დავრჩებით თითქმის იმ პორტების ამარა, პეტრე პირველის მეფობის პირველ წლებში რომ გვქონდაო. ცხადია, პეტრე პირველისა და შემდგომი იმპერატორების მიერ დაპყრობილი ქვეყნების ნავსადგურებს იმპერიის უღლიდან განთავისუფლებული ერები დაიბრუნებენ, მაგრამ, ესეც არ ყოფილა მთავარი. მთავარი ყოფილა ის, რომ საკუთარი იმპერიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში, საკუთრივ რუსეთში დაიწყება არარუსი ხალხის დევნა, რისი მცდელობებიც ახლაც შეინიშნებაო. ასე რომ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი იმპერიის ხალხებო, ჭკუით იყავით თორემ, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ რუსეთი გავიდა იმპერიიდან, თქვენ ხომ შეიძლება დაპყრობილი პორტები დაკარგოთ და, კიდევ უარესი, იქ, რუსეთში მცხოვრებ თქვენს თანამემამულეებსაც არ დაუდგეთ კარგი დღე. აი, რა აწუხებს რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველს ერთაშორის ურთიერთობის საკითხებში ქალბატონ სტაროვოიტოვას.

ქალბატონი გალინა სსრკ უმაღლეს საბჭოში ჩვენი მოძმე სომეხი ხალხის წარმომადგენელია. მართალია, იგი არც სომეხია, და არც ერევნელი, მაგრამ აქვს ამას მნიშვნელობა, როცა ამ რანგის ჰუმანისტთან გვაქვს საქმე?

1989 წლის აპრილ-მაისში სომხეთის დედაქალაქ ერევანში გახლდით სამეცნიერო მივლინებაში. არასდროს დამავიწყდება მაშინდელი დაძაბული, მღელვარე და თვალცრემლიანი ერევანი. ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა სომეხ ხალხს აეროპორტ „ზვარტნოცში" რუსული ნიჩბებით მიყენებული ჭრილობები. ქალაქში კომენდანტის საათი მძვინვარებდა. კომიტეტ „ყარაბაღის" ხელმძღვანელები, ხალხის წინამძღოლნი, მოსკოვის ციხეებში იყვნენ გამოკეტილი. ინფორმაციის ერთადერთი წყაროები კომუნისტური პრესა და წითელი ტელევიზია იყო. უსანქციო მრავალათასიან მიტინგებზე ორატორები მთავრობისაგან ეროვნული მოძრაობის ლიდერების ციხიდან გამოშვებასა და პარუირ აირიკიანის საზღვარგარეთიდან დაბრუნებას ითხოვდნენ და ასეთ დროს მიმდინარეობდა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საარჩევნო კამპანია. კანდიდატებად სომეხი ხალხის ღირსეული შვილების გვერდით ქალბატონი გალინა სტაროვოიტოვაც იყო დასახელებული. მართალი გითხრათ, პირველ ხანებში, რიგითმა სომხებმა არც კი იცოდნენ ვინ იყო სტაროვოიტოვა. კომუნისტური პრესა და ტელევიზია დუმდა მასზე. რა შანსი უნდა ჰქონოდა ქ-ნ გალინას ამ პირობებში გამარჯვებისა? მაგრამ შველა მოსკოვიდან მოვიდა.

ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის სტენდებზე, კედლებზე, პარკებში ხეებზე გაჩნდა ქსეროასლები მოსკოვში შედგენილი მიმართვისა სომეხი ამომრჩევლებისადმი, რომელშიც ქ-ნი გალინა დახასიათებული იყო, როგორც სომეხი და ყველა მცირერიცხოვანი ხალხის ინტერესებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ობიექტური, მამაცი, უმწიკვლო ადამიანი. მიმართვა მოუწოდებდა ხალხს ხმა მხოლოდ მისთვის მიეცათ. მიმართვას ხელს აწერდნენ სსრკ უმაღლეს საბჭოში უკვე არჩეული დეპუტატები — ანდრეი სახაროვი, ბორის ელცინი, კიდევ რამდენიმე რუსი დემოკრატი და... ბატონი ელდარ შენგელაია. ამან ბევრად შეცვალა სიტუაცია. იმავე დღეებში მატენადარანის წინ სამასათასიანი მიტინგი გაიმართა, რომელზეც ქ-ნმა გალინამ სომეხ ხალხს ყველა კეთილი ოცნების აღსრულება აღუთქვა.

— გა-ლი-ნა! გა-ლი-ნა! — გუგუნებდა ქუჩა.

მას მერე საკმაო დრო გავიდა. არ ვიცი, რა სურვილები შეუსრულა ქალბატონმა გალინამ თავისუფლებისათვის მებრძოლ სომეხ ხალხს, მაგრამ რა შეიძლება ურჩიოს რუსეთის პრეზიდენტს უცხო პორტების დაკარგვის საფრთხით შეშფოთებულმა მრჩეველმა, ეს კი ვიცი.

ილია ბარამიძე.

ჭადრაკი

სიე ჯუნი ჩემპიონია

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მანილაში დამთავრდა ვადაზე ადრე, მე-15 პარტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ და ამრიგად, ანგარიში გახდა 8,5:6,5 პრეტენდენტ სიე ჯუნის სასარგებლოდ, რომელმაც მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი. ეს უკვე ცნობილი იყო ორი დღის წინათ და ამიტომაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოგვიანებული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

საერთოდ კი მატჩის შესახებ მომავალში დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი, კერძოდ, იმ მიზეზებზე, რომლებმაც განაპირობეს ესოდენ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ახლა უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სუსტი გამოსვლა.

რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს

თქვენი გულისხმიერების იმედი გვაქვს!

ქართველი კაცი ოდითგანვე სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. განსაკუთრებით მაშინ იცოდა თანადგომა, როცა თანამოძმეს უჭირდა. უჭირს დღეს სრულიად საქართველოს, რომელიც ერთი ჩამოვთვალოთ, მაგრამ, ჩვენი ყურადღება ამჯერად მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონებისაკენ არის მიპყრობილი. ზამთარი მოახლოვდა, ღია ცის ქვეშ დარჩენილი ათასობით ქართული ოჯახი საკუთარ თავშესაფარს ელოდება. მშენებელთა ძალისხმევით შესაძლებლობის მაქსიმუმი კეთდება. მაგრამ, საშენ მასალათა უქონლობის გამო კვლავ უამრავი რამაა გასაკეთებელი. უპირო, რადგან ძირითადმა მომწოდებელმა — რუსეთმა ბლოკადა გამოგვიცხადა და მომარაგება შეგვიწყვიტა.

მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების აღდგენითი სამუშაოების რესპუბლიკური შტაბი გთხოვთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, თუ რეზერვების სახით გაქვთ სახლის გადახურვისათვის საჭირო მასალები (შიფერი, თუნუქი) გამოგვეხმაუროთ შემდეგ **მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 16, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო, მე-5 სართული; ტელ. 37-65-18;**

თქვენი გულისხმიერების იმედი გვაქვს!

აღდგენითი სამუშაოების რესპუბლიკური შტაბი.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

ალექსანდრე წუწუნავასა და ვასილ ამაშუკელის სახელობის საზოგადოების დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს კინემატოგრაფისტებს აუწყებს, რომ იქმნება პროფესიონალ კინემატოგრაფისტთა ახალი შემოქმედებითი გაერთიანება თანასწორუფლებიანობის პრინციპზე.

მორიგი სხდომა ჩატარდა ა/წ 31 ოქტომბერს.

საინიციატივო ჯგუფი საზოგადოებაში გაერთიანების მსურველებს მორიგ სხდომაზე იწვევს კვირას, 3 ნოემბერს 3 საათზე ძველი კინოსტუდიის კინოსაპროექციო დარბაზში.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი, 164. ტელ: 95-00-24

მთავარი რედაქტორი მარიკა ახაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-16;
წერილების რედაქცია 99-73-24.
[illegible]
[illegible] № 29.
[illegible]